საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 14 ნოემბერი. 2017 წ. №232 (8369), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მთავრობის განახლებას ქვეყნის განახლებაც მოჰყვება?!.

18-ის ნაცვლად 14 სამინისტრო დარჩება, თუმცა... ესეც ძალიან ბევრია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მიერ გაჟღერებული ცვლილებების თანახმად, სადღეისოდ არსებული 18 სამინისტროდან 4 სამინისტრო გაუქმდება.

კერძოდ, უქმდება ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობები.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკის სამინისტრო უერთდება; უწყებას ფინანსთა მოქმედი მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი** უხელმძღვანელებს. ის ასევე ინარჩუნებს პირველი ვიცე-პრემიერის პოსტს.

მთავრობის ახალ შემადგენლობაში აღარ იქნება შინაგან საქმეთა მინისტრი **გიორგი მღებრიშვილი**. მას ამჟამინდელი ეკონომიკის მინისტრი **გიორგი გახარია** შეცვლის. ცვლილებების თანახმად, შს სამინისტროში დღეს მოქმედი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შერწყმა ხდება. რეორგანიზაციის შედეგად კი, იქმნება საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი, რომელსაც **გიორგი მღებრიშვილი** უხელმძღვანელებს.

პრემიერმა ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ქუმსიშვილის შემცვლელად „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელის **მამუკა ბახტაძის** კანდიდატურა დაასახელა.

ცვლილებების მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უერთდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა კომპონენტი. მინისტრის პოსტს კი **მიხეილ ჩხენკელი** დაიკავებს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სპორტის კომპონენტთან ერთიანდება. კვირიკაშვილის თქმით, მინისტრის თანამდებობას დაიკავებს **მიხეილ გიორგაძე**.

გარემოს დაცვის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამინისტრო უერთდება და უწყებას სოფლის მეურნეობის მოქმედი მინისტრი **ლევან დავითაშვილი** უხელმძღვანელებს.

ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი საგარეო საქმეთა სამინისტროს უერთდება. უწყებას ვიცე – პრემიერი **მიხეილ ჯანელიძე** უხელმძღვანელებს.

როგორც ბრიფინგიდან გახდა ცნობილი, პარლამენტს წარედგინება ცვლილება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უერთდება საგარეო დაზვერვის სამსახური. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ამ კუთხით გატარდა არაერთი რეფორმა და გამომდინარე იქიდან, რომ საგარეო დაზვერვა ქვეყნის უსაფრთხოების ნაწილია, გადაწყდა უსაფრთხოების სამსახურის გაძლიერება.

ცვლილებათა პაკეტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, უახლოეს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდება და განსახილველად პარლამენტს წარედგინება.

პრემიერმა პარლამენტს რეფორმების მხარდაჭერისკენ მოუწოდა, რათა პროცესი წლის ბოლომდე დასრულდეს.

მთავრობაში განხორციელებული საკადრო და სტრუქტურული ცვლილებების შემდეგ, გაურკვეველი რჩება 5 მაღალჩინოსნის მომავალი საქმიანობის საკითხი. კერძოდ, პრემიერ-მინისტრის მიერ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ სად განაგრძობენ საქმიანობას განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, გარემოს დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელი დავით სუჯაშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრისიზების მართვის საბჭოს უფროსი მინდია ჯანელიძე და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ვიქტორ დოლიძე.

პრემიერ-მინისტრი ბრიფინგზე აღნიშნული თანამდებობის პირების მიმართ მადლობის გადახდით შემოიფარგლა.

შენ დაუკა!

ოლონდ... არასამხიარულო!



3



დავით ფერაძე

საპატიმროში ჟურნალისტი დღემდე სამართალს ეძებს!

4

რას ვეძებთ, რა დაგვკარგვია...

კი გვინდოდა, სეზონი მაჟორულ ნოტაზე დაგვესრულებინა და გულშემატკივრები თუნდაც ბელარუსის არაფრით გამორჩეულ ეროვნულ ნაკრებთან მხოლოდ სტატისტიკის გასაუმჯობესებელი გამარჯვებით გაგვეხარებინა, მაგრამ საამისოდ მხოლოდ მონდომება, უკვე მერამდენედ, საკმარისი არ აღმოჩნდა – 2:2 (სიხარულიძე, დვალი).

ჩვენმა გუნდმა ქუთაისში 16-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა და, წესით, აღნიშნულ ფაქტს დამატებითი სტიმული უნდა მიენიჭებინა მასპინძელთათვის, თუმცა, როცა ოსტატობით მეტოქეს ვერ აღემატები, ძნელია წარმატებაზე იფიქრო.

მოკლედ, ვლადიმირ ვაისის კრებული ისევე უსახურად დაგვემშვიდობა მომავალ წლამდე, როგორც მთელი 2017-ის მანძილზე გაგვაწამა...

7

ბერლინის „ძველებური მუსიკალური აკადემიის“ თბილისური ფუროორი

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ფინანსთა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრებს ახალ, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ორივე სფერო, რომლის ხელმძღვანელებიც თქვენ ხდებით. მოგეხსენებათ, ფინანსთა სამინისტროსთან მიმართებაში, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, განსაკუთრებით ამ ოპტიმიზაციის პროცესში, სახელმწიფო ფინანსები მოვარგოთ იმ ახალ საჭიროებებს, რომლებზეც ვისაუბრეთ. მთავარია, ამ ოპტიმიზაციის შედეგად გამოთავისუფლდეს რესურსი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებებით დაიხარჯება. დიმიტრი ქუმსიშვილმა ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა ამ სამინისტროში. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან დღეს გვაქვს აბსოლუტურად წყობილი ურთიერთობა და მნიშვნელოვანი იქნება, ეს ოპტიმიზაციის პროცესი მაქსიმალურად პროფესიონალურად ჩავატაროთ, რათა ხალხმა დაინახოს, რომ ამ ოპტიმიზაციის მთავარი ორიენტირი ნამდვილად არის ადამიანი.

დიმიტრი ქუმსიშვილი იბარებს ორი გაერთიანებული სამინისტროს ხელმძღვანელის ძალიან მნიშვნელოვან პოსტს და მინდა, მასაც წარმატება ვუსურვო.

მამუკას აქვს ძალიან კარგი გამოცდილება, რკინიგზაში გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები. აბრეშუმის გზის პროექტში პრაქტიკულად მოხდა ჩვენი რკინიგზის ინტეგრირება. ჩინეთიდან ჩამოვიყვანეთ პირველი პირდაპირი მატარებლები.

განათლების სფერო, მოგეხსენებათ ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. მე ვიტყოდი, რომ როგორც საზოგადოებაში დღეს არსებული პრობლემების, ასევე შესაძლებლობების სათავე არის ზუსტად განათლების სფეროში და ახალგაზრდობის კომპონენტის შემოერთებასთან ერთად, ამ სამინისტროს მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

ალექსანდრე ჯეჯელავამ ოთხპუნქტიანი რეფორმის ფარგლებში დაიწყო ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა – ჩვენ დავიწყეთ პროფესიული განათლების, უმაღლესი განათლების მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ ცვლილების განხორციელება.

ბატონო მიხეილ, მინდა, თქვენი გამოცდილება ჩვენმა ქვეყანამ მაქსიმალურად გამოიყენოს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 20-წლიანი გამოცდილების შემდეგ დაბრუნდით ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის სამსახურში ჩადექით. ეს არის დასაფასებელი და ვისურვებდი, ჩვენი ბევრი თანამემამულე იყოს ასე განწყობილი, რომ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის სამსახურში ჩადგეს. ამიტომ, კიდევ ერთხელ წარმატებებს გისურვებთ“.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ: **„დიდ მადლობას გიცხადებთ გამოცხადებული ნდობისთვის. ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. ფინანსთა სამინისტრო არის წარმატებული უწყება და, შესაბამისად, ეს ჩემთვის ორმაგი პასუხისმგებლობაა. ჩვენს პარტნიორებთან 8 ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრი შეთანხმებულია და ეს გეზი გაგრძელდება. მთავარი პრიორიტეტი, როგორც თქვენ აღნიშნეთ, იქნება ნაკლები ბიუროკრატია და მეტი ეფექტურობა. ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გვექნება ქართულ ბიზნესთან, განსაკუთრებით ფოკუსს გავაკეთებთ საშუალო და მცირე მეწარმეებთან ურთიერთობაზე და ბუნებრივია, ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ ფინანსთა სამინისტრო კიდევ უფრო წარმატებული გახდეს. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის“.**

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ: **„უღრმესი მადლობა ნდობისთვის. მთელ ჩემს ენერგიას, გამოცდილებას არ დავიშურებ იმისთვის, რომ ამ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს ვემსახურო, როგორც ეს ასახულია მთავრობის ოთხპუნქტიან გეგმაში. განათლებას აქვს უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის და, ზოგადად, განათლების ხარისხის, ასევე მეცნიერების ხარისხის ამაღლება არის ჩვენი სამინისტროს მთავარი პრიორიტეტი. ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ თითოეულმა ახალგაზრდამ იგრძნოს, რომ სახელმწიფო მასზე ზრუნავს. ეს ნამდვილად ასე მოხდება, რომ ჩვენი ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა თაობის პოტენციალის რეალიზება განხორციელდეს ჩვენს ქვეყანაში“.**

ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ...

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ **მართვის სისტემის რაციონალიზაცია, ეფექტიანობის კიდევ უფრო ამაღლება,** – ასე აფასებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სამთავრობო ცვლილებებს. **„ჩვენ მივესალმებით იმ სულისკვეთებას, რომელსაც ეფუძნება პრემიერის ეს გადაწყვეტილება. რაც შეეხება ბიუჯეტს, ბუნებრივია, ამ ცვლილებების ერთ-ერთი შედეგი არის ხარჯების შემცირება, რაციონალიზაცია, ოპტიმიზაცია, აქედან გამომდინარე, ყველა თვალსაზრისით, ეს ცვლილებები მოიტანს დადებით შედეგებს“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების ვადები დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის შევა შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტში. **„რაც შეეხება პროცედურებს და ვადებს, ეს, ბუნებრივია, მთავრობაზეც არის დამოკიდებული. დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის შემოვა შესაბამისი კანონპროექტი ინიციატივის წესით მთავრობიდან პარლამენტში. კანონპროექტის მიღების შემდეგ პარლამენტს უნდა წარედგინოს მთავრობის შემადგენლობა დასამტკიცებლად. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ პროცედურები დეკემბრის ბოლომდე ან იანვარში მთლიანად დასრულდება“,** – ირაკლი კობახიძემ.

ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲡ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐᲛ საქმიანობა შესაძლოა, დიპლომატიურ სამსახურში გააგრძელოს მუშაობა. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა. **„ვსაუბრობთ სანდროსთან – შესაძლოა, ის დიპლომატიურ სამსახურში წავიდეს, თუმცა როგორც ვესაუბრე, მას გული უფრო ისევ განათლების სფეროში პედაგოგიური მიმართულებით ბიზნესსაქმიანობისკენ მიუწევს და ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს. ის ჩვენი გუნდის წევრი არის და ძალიან ღირსეული ადამიანია“,** – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

„ᲛᲔ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲨᲘ“

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი ბიზნესსექტორში ბრუნდება. ამის შესახებ ტარიელ ხეჩიკაშვილის განცხადებაშია აღნიშნული, რომელიც სპორტის სამინისტროს პრესსამსახურმა გაავრცელა.

„დარწმუნებული ვარ, რომ ის აღმშენებლობის პროცესი, რომელიც ჩვენი მთავრობის პირობებში ქართულ სპორტში მიმდინარეობდა, აუცილებლად გაგრძელდება. მე, რა თქმა უნდა, ვრჩები ქართული სპორტისა და ქვეყნის სამსახურში – სპორტს ვემსახურებოდი ბიზნესიდან, ახლა – მინისტრის რანგში და ასე იქნება მომავალშიც. ჩემთვის ქვეყნისა და სპორტის სიყვარული არის ერთ-ერთი უპირველესი. იმ დიდი გამოცდილების შემდეგ, რომელიც მინისტრობის პერიოდში მივიღე, კიდევ უფრო მეტის გაკეთებას შევძლებ.

ცხადია, ვესაუბრე მიხეილ გიორგაძეს, ჩვენ ვართ კოლეგები და მეგობრები. მე მაქსიმალურად შევუწყობ ხელის იმას, რომ ის რეფორმები, რაც სამინისტროში დავიწყეთ, გაგრძელდეს და წარმატებული იყოს ქართული სპორტისთვის. მე დავბრუნდები ბიზნესში და იქიდანაც ძალიან ბევრ საინტერესო პროექტს განვახორციელებ ქართული სპორტის სასიკეთოდ“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲘᲬᲝᲜᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პრეზიდენტი სამთავრობო ცვლილებებსა და ოპტიმიზაციას დადებითად აფასებს. განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა გააკეთა და მინისტრებს წარმატება უსურვა:

„მივესალმებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დაანონსებულ ოპტიმიზაციის პროცესს. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები კულტურის, განათლების, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, რაც შეეხება ეკონომიკის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებს, მიგვაჩნია, რომ კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის საქართველოს მთავრობის საქმიანობას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ოპტიმიზაციის შედეგად განხორციელებული ცვლილებები საზოგადოების თითოეულ წევრზე აისახოს პოზიტიურად, ჩვენ დადებითად ვაფასებთ წარმოდგენილ კანდიდატურებს მინისტრების პოსტზე, მათ წარმატებას ვუსურვებთ, ვინაიდან აქვთ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე“, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ახალმა მერმა კახა კალაძემ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე მოადგილეების ვინაობა დაასახელა.

კალაძის განცხადებით, დედაქალაქის ვიცე-მერი იქნება **ირაკლი ხმალაძე,** რომელიც ენერგეტიკის მინისტრობის დროს კალაძის მოადგილე იყო.

ასევე მისი მოადგილეები იქნებიან: გარემოს დაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე **მაია ბითაძე,** თბილისის ყოფილი მერის, დავით ნარმანიას მოადგილე **გიგა ნიკოლეიშვილი,** საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ხელმძღვანელი **ირაკლი ბენდელიანი** და ენერგეტიკის ამჟამინდელი მინისტრი, **ილია ელოშვილი,** რომელიც, როგორც კალაძემ განმარტა, მერიაში მუშაობას ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმების შემდეგ შეუდგება.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, 2018 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ

– ᲐᲛᲘᲡ შესახებ განმარტება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პაატა კვიჟინაძემ გააკეთა.

მისი თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტის ბოლო ვარიანტი პარლამენტში 1 დეკემბრიდან უნდა შევიდეს. კვიჟინაძის განცხადებით, თავდაპირველად მთავრობაში დაგეგმილ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით ცვლილებები შესაბამის კანონმდებლობაში უნდა აისახოს.

რეგლამენტის თანახმად, ბიუჯეტის მიღების ბოლო ვადა პარლამენტს დეკემბრის მესამე პარასკევამდე აქვს.

ცესკოს მონაცემებით, არჩევნების მეორე ტურში 6-დან 5 საარჩევნო ოლქში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა

ამ დროისთვის დათვლილია ქუთაისში, მარტვილში, ოზურგეთში, ხაშურში, ბორჯომსა და ყაზბეგში არსებული 317-ვე უბნის შედეგები.

ცესკოს სპიკერის ანა მიქელაძის განცხადებით, ქუთაისში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გიორგი ჭიღვარიამ 87,55%-ით გაიმარჯვა, თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ, რომლის გვარიც, მეორე ტურში მონაწილეობაზე

უარის მიუხედავად ბიულეტენში მაინც იყო შეტანილი, ხმათა 12,45% მიიღო. ხაშურში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გიორგი გურასპაშვილმა ხმათა 61,31% დააგროვა და გაიმარჯვა, ხოლო დამოუკიდებელმა კანდიდატმა რამაზ ნოზაძემ – 38, 69%.

ყაზბეგის საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ალექსანდრე ზაგაშვილმა ხმათა 68,65%-ით გაიმარჯვა, მისმა კონკურენტმა „დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველოს“ კანდიდატმა სანდრო ყამარაულმა 31,35% მიიღო. ბორჯომში, წინასწარი მონაცემებით, გამარჯვებულია „ქართული ოცნების“ კანდიდატი ლევან ლიპარტია ხმათა 55.22%-ით, „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატმა ზაზა ჩაჩანიძემ კი ხმათა 44,78% მიიღო.

მარტვილში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ალექსანდრე გრიგალავამ ხმათა 93,04%-ით გაიმარჯვა, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა მამუკა დანელიამ, რომელიც მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმის მიუხედავად საარჩევნო ბიულეტენში მაინც ფიგურირებდა, ხმათა 6,96% დააგროვა.

დამოუკიდებელმა კანდიდატმა სიორიძე დაამარცხა

ოზურგეთში თვითმმართველობის არჩევნებში დამოუკიდებელმა კანდიდატმა კონსტანტინე შარაშენიძემ გაიმარჯვა. მან „ქართული ოცნების“ კანდიდატს ბეგლარ სიორიძეს 84 ხმით მოუგო. ცესკოს მონაცემებით შარაშენიძეს 50.11% აქვს, ხოლო სიორიძეს 49.89%.

12 ნოემბერს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური 6 თვითმმართველ ქალაქსა და თემში გაიმართა. მეორე ტური ჩატარდა ქუთაისში, ხაშურში, ბორჯომში, ოზურგეთში, ყაზბეგში და მარტვილში. ცესკოს წინასწარი მონაცემებით, არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა 6 თვითმმართველ ქალაქსა და თემში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 33.24%-მა მიიღო.

შენ დაუკა! ოლონდ... არასამხიარულო!

ჯერ ფაქტი:

ევროპის მოედანზე ბერლინის კედლის ფრაგმენტი დაიდგა. ღონისძიებაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოში გერმანიის ელჩი, გერმანიაში საქართველოს ელჩი ლადო ჭანტურია და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ბერლინის კედლის ფრაგმენტი საქართველოს პრემიერის გერმანიაში ვიზიტის დროს, საქართველო-გერმანიის მეგობრული ურთიერთობის ნიშნად საჩუქრად გადმოეცა.

თავად ფაქტი, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. მაგრამ „შინაარსი“ აღმოჩნდა ისეთი, რომ პრემიერმა თავისი „გაოცება“ ცერემონიალზე გამოსვლისას ვერ დამალა და თქვა: „მე ძალიან მაკვირვებს, რომ ედუარდ შევარდნაძის სურათი ვერ მოხვდა ამ გამოფენაში. საქართველოს პრეზიდენტის, მაშინდელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის როლი ამ ძალიან მნიშვნელოვან მოვლენაში იყო უმნიშვნელოვანესი და ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს. ისტორია არის ისტორია“.

ჭეშმარიტებაა!

პრემიერის კვალდაკვალ უკმაყოფილება შევარდნაძის ოჯახმაც გამოხატა საგანგებო განცხადებით, რომელიც გერმანიის საელჩოს გადაეცა. უარყოფითი პოზიცია, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, დააფიქსირა გერმანიის საელჩომაც.

ანუ, კიდევ ერთი უხერხულობა, კიდევ ერთი უსიამო ფაქტი, კიდევ ერთი, ჩათვალეთ: **სკანდალი!!!**

დიახ სკანდალი, თანაც ისეთი, რომ სოციალურ ქსელებში კვლავ ნიაღვრად წამოვიდა მოურიდებელი შეფასებები („ნაგავიდან“ – „იდიოტიზმამდე“). პირდაპირ უნდა ვთქვა, ამ ცხელ გულზე: ძალიანაც მართებული!

და, მაინც, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“: არც სამთავრობო პიარ-სამსახურიდან, არც მერიიდან, არც საგარეო საქმეთა სამინისტროდან. კვლავ ტრადიციული პოზიცია... სირაქლემასი!

რა ხდება? რატომ ხდება? როდემდე გაგრძელდება ასე?

სამიოდე დღის წინათ მერამდენეჯერ ვწერდი: სახელისუფლებო „იარის“ სფეროში მარჯვენამ არ იცის რას აკეთებს მარცხენა-მეთქი და, აჰა, ამ შეფასების მორიგი კონსტატაცია.

პრემიერი ისე მიიყვანეს და ჩააყენეს უხერხულ მდგომარეობაში, რომ... უნდა ვიფიქროთ, პრემიერის მეშვეობით საქართველოსთვის სუვენირად გადმოცემული ბერლინის „კედლის ნატეხი“ ახტა დახტა და იმ რწყილ-ჭიანჭველას არაკისა არ იყოს, პირდაპირ „ევროპის მოედანზე“ დახტა და „გამოფენად“ გადაიქცა...

ფეისბუქის(?) მეშვეობით მერია უკვე გაემიჯნა ამ სამარცხვინო აქციას, ანუ, აღიარა, რომ დედაქალაქში ამხელა გამოფენა ეწყობა, გახსნაზე ჯერ კიდევ მოქმედ მერს პატიჟებენ და... ის აზრზე არ არის ვინ, რა და როგორ?.. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელთანაც კონსულტაციის გარეშე და საბოლოო „დასკვნის“ გარეშე ასეთი „რამე-რუმეები“ არ უნდა ხდებოდეს, ტრადიციულად დუმს. თანაც, რამდენადაც ინფომ გამოჟონა, ხელს იბანენ, არაფერ შუაში ვართო. ეგაა უბედურება, რომ... მართლა არაფერ შუაში არიან არც ამ შემთხვევაში და არც იმაში, რომ მავანი არ თვლის საჭიროდ და აუცილებლად მათთან კონსულტაციას. მიზეზს, მე კი ვხვდები, მაგრამ... ჯობს, „ნარცისებმა“ თავად გაარკვიონ.

როგორც სანდო წყარომ მაცნობა, გერმანიაში ჯერ კიდევ ჩვენი მოქმედი ელჩის ლადო ჭანტურია ამ „გაუგებრობაში“ მონაწილეობა, უბრალოდ, დაემთხვა მის თბილისში ყოფნას.

მაშინ ვინ არის პასუხისმგებელი ამ „ჭკვიანურ, ევროპულ, პატრიოტულ“ აქციაზე?

ჩემ ეჭვს ბოლოსკენ მოგახსენებთ, მანამდე კი პაწია „ლიკბეზი“ (ძველი საბჭოური ტერმინია „უცოდინრობის, (უწიგნურობის) ლიკვიდაციას“ ნიშნავს), მინდა ჩავატარო;

„ბერლინის კედელმა“, მისმა აღებამ, ბოლო ათეული წლებია, მეტაფორული მნიშვნელობა შეიძინა, სინონიმი გახდა გერმანიის გაერთიანებისა, ახალი ევროპის შექმნა-ჩამოყალიბებისა. ეს აქსიომატური მოსაზრება შეიძლება არ იცოდეს იმ თაობამ, რომელიც ახლა თინეიჯერობს, მაგრამ მათ ვისაც სამთავრობო კანცელარიაში, მერიასა და საგარეო საქმეთა სამინისტროში ჭკუა ეკითხება, ასეთ საკითხებზე ელემენტარული წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ. პირადად მე, სულ პაწია ეჭვიც არ მეპარება, რომ იციან ეს თემა, თანაც კარგად. მაგრამ, აი, კონკრეტულ პერსონას, ვინც უნდა გააკეთოს (ან, დაავალეს, ან თავად იჩენს ბრიყვებისთვის დამახასიათებელ დაუოკებელ ინიციატივას) „საქმე“, ანუ გამოფენა, ელემენტარული ცოდნაც კი არ გააჩნია იმისა, თუ რა უნდა გაეკეთებინა და როგორ, ვისთვის უნდა ეკითხა რჩევა, ვისთან უნდა გაევლო კონსულტაცია და მიეღო საბოლოო თანხმობა გამოფენის მზადყოფნის თაობაზე. ამ მექანიზმმა არ იმუშავა. ტრადიციულად, ანუ, ან მექანიზმი არ არსებობს (რაც წარმოუდგენელია) ან საქმე გვაქვს ზერელობასთან, უვიცობასთან, აშკარა უპასუხისმგებლობასთან.

და ვინაიდან, მთლად დარწმუნებული არ ვარ, რომ მარტო ამ „მიზეზებთან“ გვაქვს საქმე, რომ, შესაძლოა პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიაც თამაშობდეს გარკვეულ როლს, მით უმეტეს, ორიოდე თვეში საქართველოს მეორე პრეზიდენტის დაბადებიდან 90 წლისთავია და, მავანს ეს თარიღი, ეგებ, საერთოდაც არ ეხატება გულზე. ამ გამოფენაზე „შევის“, მისი როლის, მისი პიროვნების ობიექტური და ღირსეული გამოჩენა დიახაც რომ წაადგებოდა მისდამი კეთილგანწყობას. მავანის განათლებულობასაც... სწორედ ამიტომ მივმართავ „ლიკბეზის“ მეთოდს. აი, რას წერენ იმდროინდელი „ძლიერნი ამა ქვეყნისა“, ისტორიული ეპოქალური ძვრების, მათ შორის „ბერლინის კედლის“ ეპოპეის ორგანიზატორ-მონაწილენი:

ჰელმუტ კოლი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ) კანცლერი:

„...გერმანიის გაერთიანებაში თქვენი პირადი წვლილი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ჩემთვის და ჩემი თანამემამულეებისთვის დაუვიწყარი იქნება...“

რიტა ზიუსმუტი, გფრ ბუნდესტაგის (პარლამენტის) თავმჯდომარე:

„... საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ დავინახეთ, რომ იგი იყო დიდი დიპლომატი. მაგრამ მას შემდეგ, რაც მას საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობა დაეკისრა, დიპლომატთან ერთად მე მასში მებრძოლიც დავინახე და პატრიოტიც.

ედუარდ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროსაც სულის სიღრმეში ყოველთვის ქართველად რჩებოდა...

დღეს შეიძლება კატეგორიულობით ამტკიცო, ამას ხედავს კიდეც ყველა, რომ საქართველო თავისი პრეზიდენტის გასაოცარი ძალისხმევით ართმევს თავს მის წინაშე აღმოჩენილ ურთულეს პრობლემებს და მიდის დამოუკიდებელი მშენებლობის გზით...“

ვილი ვიმერი, გფრ ბუნდესტაგის (პარლამენტის) წევრი:

...ყველამ ისიც ზუსტად ვიცით, რომ ევროპა და მთლიანად მსოფლიო ამჟამინდელი სახით ვერ იარსებებდა, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე რომ არ ყოფილიყო. ვფიქრობ, ძნელად მოიძებნება მსოფლიოში ადამიანი, რომელსაც შეეძლო, სამყარო შეეცვალა ისე, როგორც ეს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა...“

ჰანს-დიტრიხ გენშერი, გფრ ვიცეპრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი:

„... თქვენს ისტორიულ დამსახურებად დარჩება და ამას ვერავინ შეგეცილებათ, რომ თქვენ იღვწოდით ცვლილებებისთვის უკეთესისკენ. და თუ ჩვენ დღეს ისეთ ევროპაში ვცხოვრობთ, რომელიც 1990 წლის პარიზის ქარტიის პრინციპებსა და მიზნებს შეესაბამება, ეს მნიშვნელოვანწილად თქვენი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის პირადი დამსახურებაა. ეს განსაკუთრებულად ესმის ჩემ ხალხს, რომელსაც თქვენ ერთიანობა დაუბრუნეთ. თქვენი სახელი სამუდამოდ არის შეტანილი იმ ხალხის მეხსიერებაში, რომელიც ამ საუკუნის პირველ ნახევარში დაშვებული შეცდომებისა და საშინელი კატასტროფის შემდეგ, თავისუფლების, ადამიანის ღირსების დაცვისა და დემოკრატიის გზას დაადგა.

... მთელი გულით გიხდით მადლობას ყელაფრისთვის, რაც თქვენ ჩვენთვის, გერმანელი ხალხისთვის გააკეთეთ“.

რობერტ ბერდი, აშშ სენატორი:

„... შევარდნაძე ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი მთავარი საერთაშორისო პოლიტიკური ფიგურაა. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა კომუნისტური საბჭოთა იმპერიის ტრანსფორმაციაში, ... რაც მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩვენს ევროპელ მოკავშირეებთან ყოველგვარი ძალისმიერი კონფრონტაციის გარეშე.

ამ ტრანსფორმაციის, ბერლინის კედლის აღების, ... განიარაღების ძირითად საკითხებზე შეთანხმებათა მიღწევის საქმეში დიდი წვლილი სამართლიანად მიუძღვის შევარდნაძის ნათელ და ძლიერ პიროვნებას. მისი როლი იმ გადამწყვეტი როლის მნიშვნელობის კარგი მაგალითია, რომელიც პიროვნებას კაცობრიობის ისტორიის გარდამტეხი მოვლენების ფორმირებაში ენიჭება. ბატონმა შევარდნაძემ დაამტკიცა, რომ ისტორიას მართლაც ქმნიან პიროვნებები და არა სოციალური და ეკონომიკური იმპერატივები“.

* * *

დიახ, ასეა ეს! და ამაზე მეტყველებს ეს სულ მცირე რაოდენობის ამონაწერებიც.

ჰოდა, ბიძიკოებო, დაკვირვებით წაიკითხეთ, ჩაუღრმავდით ამ გამონათქვამებს. ამ ტექსტით ჩვენი კოხტაპრუწა ტელეწამყვანების ენაყრანტალა რესპონდენტები კი არ გვმოძღვრავენ...

იხ. 8 გვ.

სააკაშვილის მიერ უკანონოდ დასჯილი ჟურნალისტი დღემდე სამართალს ეძებს!

დავით წერეთელი 73 წლისაა, დაიბადა ქუთაისში ქართული ტრადიციებით ცნობილ ოჯახში, იგი თვითონაც ჩინებული ოჯახის თავკაცია. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება, არის ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პრემიების ლაურეატი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი. არჩეულია საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდიუმის წევრად. ქართული ჟურნალისტიკის წინაშე დამსახურებისათვის 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

გასული საუკუნის 90-იანი წლებში ის ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტიც იყო ქუთაისში...

მისმა კოლეგა ჟურნალისტებმა კარგად ვიცით, თუ როგორ და რატომ გახდა დავით წერეთელი სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მსხვერპლი 2010 წლის იანვარ-მარტში და რის გამო ითვლება დღესაც განსასჯელად! ბატონი დავითი კარგა ხანს კატეგორიული წინააღმდეგი გახლდათ დღის სინათლეზე, მკითხველის სამსჯავროზე გამოგვეტანა რვა წლის წინათ შურისმაძიებელი სააკაშვილის მიერ პირადად გაცემული დავალების შესაბამისად, თუ როგორ გაუსწორდნენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, სახელმწიფოსა და ხალხის სასარგებლო საქმისთვის თავდადების გამო, მაგრამ... ბოლოს მაინც გადავწყვიტეთ მასთან ექსკლუზიური ინტერვიუს ჩაწერა.

— ბატონო დავით, თქვენ ერთობ საინტერესო და მრავალმხრივი ცხოვრების გზა გამოიარეთ, საზოგადოებრიობა გიცნობთ, როგორც წესიერ, ერთგულ, მუდამ სიმართლისთვის მებრძოლ პიროვნებას. საინტერესოა, მაინც რა მოხდა, რატომ გახდით სააკაშვილის რეჟიმის სამიზნე და მსხვერპლი?

— მადლობას მოგახსენებთ კოლეგიალური თანადგომისთვის, ნამდვილად არ ვთვლიდი საჭიროდ, ჩემი „საქმე“ საქვეყნოდ გამომეტანა განსჯისთვის, რადგან ჩვენი ხალხისთვის ავადსახსენებელ 2004-2012 წლებში ჩემსავით უამრავი უდანაშაულო ადამიანი გახდა „გიჟვრაცუა“, დღეს მაწანწალა სააკაშვილის და მისი ავანტიურისტებისა და ავაზაკების ხროვის მსხვერპლი.

ჩემი ცნობიერების კრედო ყოველთვის იყო, წესრიგიანი ცხოვრებით მეარსება და მემოღვაწა, არასდროს ვყოფილვარ ხელმრუდი, მლიქვნელი, „ვაზელინა“ კაცი, ყოველთვის პატივს ვცემდი და ვცემ ყოველი ადამიანის პირად ღირსებებს და კაცურ თვისებებს. ჩემი ღირსების და პირადი ღირებულებების უპატივცემულობა იშვიათად ვინმესთვის მეპატიებინოს და ვიდრე ცოცხალი ვარ, არც ვაპატიებ... რა თქმა უნდა, ყოველთვის ვიცავდი და ვიცავ ურთიერთობების კანონიერ ნორმებს. ზედმეტად კანონმორჩილი კაცი ვარ...

— ბატონო დავით, თქვენ რომ ასეთი ხართ, ლამის მთელმა საქართველომ იცის. ამიტომაც ორმაგად საინტერესოა, რაში „ჩაგჭრეს“, როგორ მოგატყუეს...

— 1997 წლის ივნისიდან 2010 წლის იანვრამდე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვსაქმიანობდი დაზღვევის სფეროში. ვმუშაობდი დამოუკიდებელ საქართველოში პირველად შექმნილი დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილედ, 2001 წლის იანვრიდან სსიპ „საქართველოს ავტოტრანსპორტით დაზარალებულთა ფონდის“ დირექტორად, 2003 წლის ოქტომბერში საქართველოს კანონში: „ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ ჩემი პირადი ინიციატივით შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, აღნიშნული ფონდი გადაკეთდა სსიპ „საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიუროდ“, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა ბიუროს ახალი დებულება. მე ბიუროს თავმჯდომარედ დავინიშნე. მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ და იმ პერიოდში დაზღვევის სფეროში აქტიურად და ნაყოფიერად მოღვაწე პიროვნებებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი მაქვს შეტანილი ქვეყანაში თანამედროვე სადაზღვევო სისტემის შექმნის და განვითარების საქმეში. სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის სამიზნე და მსხვერპლი გავხდი ჩემი მოქალაქეობრივი აქტიურობის, ბრძოლისუნარიანობის, საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომების, ეროვნული ღირებულებების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საყოველთაო პრინციპების დაცვის გამო...

— იქნებ კონკრეტულად მოგვითხროთ თქვენი ურთიერთობის და წინააღმდეგობის შესახებ სააკაშვილის რეჟიმთან და პირადად სააკაშვილთან დაკავშირებით.

— დავიწყებ იმით, რომ პირადად სააკაშვილთან „საქმიანი“ ურთიერთობა 2000 წლის სექტემბერში მომიწია, როდესაც იმჟამინდელმა პარლამენტის უმრავლესობამ — „მოქალაქეთა კავშირმა“ და მისმა ლიდერმა სააკაშვილმა მოინდომეს ხელში ჩაეგდოთ მაშინ სადაზღვევო ბიზნესში ყველაზე პროდუქტიული სახეობა — ავტომანქანების სავალდებულო დაზღვევა! ამ მიმართულებით დომინირებული კომპანიებიდან პირადად სააკაშვილი დაჟინებით, არაკანონიერად ითხოვდა მსუყე წილის დათმობას. ძალადობამ შედეგი ვერ გამოიღო, რიგი სადაზღვევო კომპანიების და „ახალი მემარჯვენეების“ მძაფრი წინააღმდეგობების გამო. იმდროინდელი მძაფრი ურთიერთდაპირისპირების პერიპეტიები ბევრის მეხსიერებას შემორჩა... საწადელს რომ ვერ მიაღწია, გავეშებულმა და თავქარიანმა სააკაშვილმა, კანონზე იყარა ჯავრი, მაშინდელი უმრავლესობის წყალობით კანონში შეიტანა ყოვლად გაუმართლებელი, გაუთვლელი და მომაკვდინებელი შესწორებები, რომლის შედეგადაც სადაზღვევო ტარიფებს და დაზარალებულ მოქალაქეებზე ასანაზღაურებელ თანხებს შორის დაირღვა თანაფარდობა, რის გამოც ბევრმა სადაზღვევო კომპანიამ ხელი აიღო ასეთი დაზღვევის სახეობაზე. განსაკუთრებით საგანგაშო ვითარება შეიქმნა დაზარალებულ მოქალაქეთა ანაზღაურების ფონდში! მდგომარეობის გამოსწორების მიზნით 2001 წლის იანვარში გადამიყვანეს აღნიშნული ფონდის დირექტორად. ასეთ ვითარებაში მომიხდა „მოქალაქეთა კავშირთან“ და მის ჭკუანაღრძობ ლიდერთან დაპირისპირება. ეს დაპირისპირება არცთუ „სასიამოვნო“ მოსაგონარია ჩემთვის. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ბევრი წვალება და სიძნელეების გადალახვა შევძელი, ვიდრე 2003 წლის ოქტომბერში არ მივაღწიენი, ფაქტობრივად, ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, მაგრამ ბედი თურმე უფრო მძიმე განსაცდელს მიმზადებდა, 2004 წლის იანვარში სიყალბით და ძალადობით საქართველოს პრეზიდენტად „ნაციონალური მოძრაობის“ უკვდავი ბელადის, „გიჟვრაცუა“ სააკაშვილის მოსვლის შემდეგ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოეცხადა ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერების და ავტოტრანსპორტის მფლობელთა სავალდებულო დაზღვევის არსებულ კანონმდებლობებს. ჩაიგდო რა ხელში ქვეყნის სადავეები, დაიწყო მიზანმიმართული შემოტევები. 2004 წლის ოქტომბრის ბოლოს, სააკაშვილის პირადი ბრძანებით საქართველოს პარლამენტმა დაუშვა უპრეცედენტო კანონდარღვევა და უკანა რიცხვით — 13 სექტემბრით შეიტანა ცვლილებები ზემოთ აღნიშნულ კანონებში, ფაქტობრივად, შეაჩერა და ჩაკლა ბიზნესსაქმიანობა ორივე სფეროში.

— რატომ მოხდა უკანა რიცხვით — 13 სექტემბრით კანონში ცვლილებების შეტანა?

— იმიტომ, რომ 2004 წლის 13 სექტემბერს ნაცების ფიურერმა ერთ-ერთ შეკრებაზე ყველასთან შეუთანხმებლად სახალხოდ გამოაცხადა, რომ „დღეიდან მე ვაუქმებ ავტომანქანების ტექნიკურ დათვალიერებას და სავალდებულო დაზღვევასო“! ამის შემდეგ ერთ თვეზე მეტი მოუნდა პარლამენტი კანონებში ცვლილებების შეტანას და „პატრონის“ პანღურს რომ ასცდენოდნენ, უკანა რიცხვით, კანონდარღვევით შეიყვანეს ძალაში კანონი. აი, ასეთი დემოკრატიული პრინციპების მატარებელი პარლამენტი ჰყავდა ქვეყანას, ჰოდა, ასეთი პარლამენტარების ხელში ვის უნდა გაუკვირდეს, რომ 2004 წლის თებერვალში და 2010 წლის იანვარში სააკაშვილს შეუქმნეს კონსტიტუცია, რაც მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში განუსაზღვრელი დროით აძლევდა ქვეყნის სათავეში ყოფნის უფლებას. სააკაშვილის მმართველობის 9 წლის განმავლობაში ვინ მოთვლის პირადული დაინტერესების თვალსაზრისით რამდენი ასეთი საკანონმდებლო აქტი იქნა მიღებული. პარლამენტარები, რომლებიც ამ უკანონო, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას აძლევდნენ ხმას, შეიძლება პარლამენტარებად და პოლიტიკოსებად მოვიხსენიოთ? ვინ მოსთხოვა მათ პასუხი? სწორედ ასეთმა წინდაუხედავმა, მლიქვნელურმა და გაუაზრებელმა ქმედებებმა მიიყვანა ქვეყანა და ხალხი უფსკრულის პირას.

— მართალი ბრძანდებით... შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?

— ახალი ცვლილებებით სავალდებულო დაზღვევის სფეროს დაექვემდებარა მხოლოდ 70 ათასამდე აღრიცხვაზე მყოფი 3 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის და სპეციალური ავტოტრანსპორტი. კანონის შეჩერება შეეხო 200 ათასამდე მსუბუქ ავტომანქანას. ამ ცვლილებებით ჩვენი ორგანიზაციის არსებობამ აზრი დაკარგა მაშინ, როდესაც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო საქართველოს ევროპის ერთ-ერთ უძველეს, პრესტიჟულ და მძლავრ ავტოდაზღვევის საერთაშორისო ორგანიზაციაში — „მწვანე ბარათის“ საერთაშორისო სისტემაში გაწევრება! ფინანსურად უმძიმეს მდგომარეობაში ჩავვარდით, რადგან ბიუროს ძირითადი შემოსავლები კანონით განისაზღვრებოდა კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან შემონატანებით. შექმნილი მდგომარეობის გამო, სადაზღვევო კომპანიებმა დაკარგეს ამ სახეობაში საქმიანობის ინტერესი. აღნიშნულის გამო ბიუროში დღითი დღე იზრდებოდა დაზარალებულ მოქალაქეებზე ასანაზღაურებელი თანხების რაოდენობა, რაც 2000 წლის შემდეგ მოგვდევდა. შექმნილ უმძიმეს ვითარებას დაემატა ისიც, რომ 2007 წლის ივლისში გააუქმეს საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური — დაზღვევის სფეროს პროფესიული მარეგულირებელი ორგანო და მისი ფუნქციები გადასცეს ჯერ ფინანსური ზედამხედველობის სამსახურს და შემდეგ ეროვნულ ბანკს!

საერთოდ, სააკაშვილის „რეფორმატორმა“ ხელისუფლებამ 2004-2012 წლებში სადაზღვევო ბიზნესი გამიზნულად დააბეჩავა, უსუსური და მართვადი გახადა. ასეთ ვითარებაში საქართველოს სავალდებულო დაზღვევის ბიუროს დამხმარე და განმკითხავი არავინ იყო, საკითხის არაერთგზის დაყენების მიუხედავად, არც გაგვაუქმეს!!!

ამ სიტუაციის მიუხედავად, მე შეუპოვრად ვიბრძოდი ევროკომისიის მოთხოვნების შესატყვისი თანამედროვე, ცივილიზებული საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად. აქტიური მხარდამჭერი ძალიან ცოტა მყავდა. მართალია, ისეთივეა ყველა სახელისუფლო შტო! სააკაშვილი იყო თავკერძა, ხარბი, მომხვეჭელი, ორი ბატონის მსახური მოძალადე „რეფორმატორი“. ურთულესი ყოფილა ასეთი არსების ხელმძღვანელობის პირობებში ნორმალური საქმიანობის წარმართვა და საქმის გაძღოლა. პრაქტიკულად, ეს ჩემს თავზე გამოვცადე. იმ ავბედით წლებში ჩვენი აქტიურობის და მცდელობის შედეგად იმდენად დიდი იყო დაინტერესება და დახმარების სურვილი, რომ 2005 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩამოვიდა ავტოდაზღვევის საერთაშორისო ორგანიზაციის „მწვანე ბარათის“ ბიუროს გენერალური მდივანი, რომელსაც თან ახლდა წარმომადგენლობითი დელეგაცია. ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს დაჩქარებული გაწევრების მიზნით შეხვედრები გაიმართა საქართველოს პარლამენტში, მთავრობაში, ფინანსთა სამინისტროში, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურში...

ვიზიტის შემდეგ „მწვანე ბარათის“ გენერალურმა სამდივნომ და ასამბლეამ გამოაგზავნეს რეკომენდაციები. დაპირებების მიუხედავად, იმჟამინდელმა მაღალი რანგის მოხელეებმა და, პირველ რიგში, სააკაშვილმა, არაფრად ჩააგდეს ეს რეკომენდაციები. მთავრობამ და პირადად სააკაშვილმა უგულვებელყვეს საქართველოში მათ მიერ მოწვეული სპეციალური მრჩევლის, ცნობილი საერთაშორისო ექსპერტის, ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარტ ლაარის მცდელობა დაზღვევის ამ სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი გადაუდებელი ღონისძიებების გატარებისათვის, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის სამსახურში ამ ბიზნესის ჩაყენებისათვის.

დადგა დრო ამ მხრივაც შეფასდეს ბიზნესის დამტერორებელი სააკაშვილის ხელისუფლების ქმედებები, გაირკვეს, როგორი ზიანი მიადგა მაშინ სახელმწიფოს, ხალხს...

როგორც უკვე ვთქვი, მე და ჩემი ორგანიზაცია საკანონმდებლო ბაზის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში მარტო აღმოვჩნდით. თუ გადავხედავთ ჩემს ხელთ არსებულ დოკუმენტურ მასალებს, გავაანალიზებთ ამ წლებში ჩემს ურთიერთობებს ქვეყნის მაღალი ეშელონების სახელისუფლო ორგანოებთან, მათ ხელმძღვანელებთან, პირადად სააკაშვილთან და სხვებთან, ნათლად დავრწმუნდებით, რომ ეს იყო უშეღავათო ბრძოლა, ბრძოლა, რომელსაც შედეგი არ მოჰქონდა, ამიტომაც თავი გადავდე და ღიად დავუპირისპირდი სააკაშვილს და მის სისხლიან რეჟიმს. საბოლოოდ მივიღე ის, რომ ნაცების „დიდმა ფიურერმა“ დავალება მისცა მაშინდელ „რეფორმების მამად“ წოდებულ, უსახურ ზურაბ ადეიშვილს და მის ინკუბატორ-

იმაზე დიდი სასჯელი ადამიანისათვის არაფერია, ვიდრე უდანაშაულოდ, კანონდარღვევით თავისუფლების აღკვეთაა. მე ვარ უდანაშაულო მსხვერპლი ულმერთოთა და წარმართთა რეჟიმისა, ნაცებმა ჩემ მიმართ განახორციელეს უტყვიო ტერორისტული აქტი!

ჩვენ ვადანაშაულებთ პრეზიდენტ სააკაშვილს...

ჩვენ, ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლები, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს, მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“, ნიკო გაგრატიონის კავშირის წევრები, ძართული საზოგადოების ყველა ფენის მოაზროვნე წარმომადგენლები, ძვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილნი ვართ განვაცხადოთ:

1991-1992 წწ. სისხლიანი გადატრიალების შემდეგ ქვეყანა ჩართული იყო უკანონობის, უზნეობის, ღალატის მორევში, საქართველომ დაკარგა ძირძველი მიწები, მრავალი ათასი მამული შვილი, 300 000 ლტოლვილი ებს და ანტიეროვნულ მიზნებს.

საქართველოში დამუნჯებულია მართლმსაჯულება, დანგრეულია ყველა სახელმწიფო სტრუქტურა, განადგურებულია განათლება, მეცნიერება, კულტურა, ზნეობა, თავისუფალი მნიშვნელობის სიმდიდრის — მიწის, წყლის, წიაღისეულის, ჰიდროელექტროსადგურების, მდინარეების, ტყეების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების ნგრევა, გაყიდვა, ტრადიციული ფასეულობების შერყევა, ადამიანების, ქვეყნის, ერის უფლებების და ღირსების შელახვა.

მრავალი კონსულტაციის და ფიქრის შედეგად, ჩვენ ვადანაშაულებთ პრეზიდენტ მ. სააკაშვილს არაპროფესიონალიზმში, ღალატში, ეროვნული პროგრა-

— ბატონო დავით, 2009 წლის 9 მაისს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვა სათაურით „ჩვენ ვადანაშაულებთ პრეზიდენტ სააკაშვილს!“, რომელსაც ხელს ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები აწერდნენ, მათ შორის იყავით თქვენც, ხომ არ თვლით ამ ფაქტს თქვენდამი სააკაშვილის შურისძიების ერთ-ერთ ფაქტორად?

— ერთ-ერთ ფაქტორად კი არა, ძირითად ფაქტორად მივიჩნევ. ამ მიმართვას სრულიად შეგნებულად მოვაწერე ხელი იმჟამად საქართველოში არსებული მდგომარეობისა და სააკაშვილის უსაზღვროდ თავაშვებული, არასახელმწიფოებრივი მოქმედებების გამო. მიმართვის გამოქვეყნებისთანავე გავხდი პირადად სააკაშვილის სამიზნე. ჩემს ხელთ არსებული უტყუარი დოკუმენტური მასალები, საინფორმაციო წყაროები ადასტურებენ, რომ იმთავითვე დამიწყეს თვალყურის დევნება, დაიწყო სამსახურის ზოგიერთი თანამშრომლის დამუშავება-გადაბირება, ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების ირგვლივ შეაგროვეს საჭირო ინფორმაციები საცხოვრებელი ადგილიდან დაწყებული საახლობლო წრით დამთავრებული, მისმენდნენ მობილურზე, სახლის და სამსახურის ტელეფონებზე, გარდა ძირითადი სამსახურისა მეთვალყურეობა მიმდინარეობდა ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირში, როგორც მის გამგეობის წევრზე, უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ლექციებს ვკითხულობდი. გულწრფელად გეუბნებით, რომ არ ვმალავდი სააკაშვილისადმი ჩემს უკმყოფილებას და მაშინაც მას „გიჟვრაცუად“ მოვიხსენიებდი.

სააკაშვილის „ხელის ბიჭებს“ საქმისადმი პოლიტიკური ელფერი რომ არ მიეცათ, ნაუცბათევად შეთითხნილი, ფალსიფიცირებული საგამოძიებო მასალების საფუძველზე აღმიკვეცეს თავისუფლება 2010 წლის 18 იანვარს. 19 იანვარს, ნათლისღების დღეს, წამიყენეს წინასწარი აბსურდული „ბრალი“, რომ ბიუროს თავმჯდომარედ მუშაობის 9 წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი 2004-2009 წლებში, სააკაშვილის დევნისა და შევიწროების პირობებში, გაძვალტყავებული ორგანიზაციიდან ყველასგან შეუმჩნევლად და მალულად „მივითვისე“ 53 ათასი ლარი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ იმ პერიოდში მე არც პირველი და არც ბოლო ვიყავი. უამრავი ჩემზე უარეს დღეში აღმოჩნდა. ზოგს ნარკოტიკს უდებდნენ, ზოგს ცეცხლსასროლ იარაღს, მე გაყალბებული, არაფრის მთქმელი სარევიზიო აქტი ჩამიდეს საქმეში. დამაბრალეს ის, რასაც მთელი ჩემი ცხოვრება შეგნებულად ვებრძოდი. ამ ავაზაკებმა ჩემი საქმიანი და ზნეობრივი ღირებულებები შებილწეს და ფეხქვეშ გათელეს. არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, რომ ბიუროში ჩემი საქმიანობის ჟამს რაიმე ხასიათის შეცდომები ან დარღვევები არ დამიშვია, მაგრამ სააკაშვილის და მისი კრიმინალი ქვეშევრდომების მონა-ბიჭების მსგავსი ტვინგამოცლილი და აღვირახსნილი უნდა ვყოფილიყავი, რომ სააკაშვილის მიერ ყოველგვარი დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის გამოცხადების პირობებში, რაიმე ფინანსურ მაქინაციებზე ფიქრიც კი გამებედა. ჩემი დაკავებით ბოღმიანმა, ჩასაფრებულმა სააკაშვილმა „ხოში“ გაისწორა, საწადელი აისრულა. 74-დღიანი „ჭკუის სასწავლებელი“ პატიმრობის შემდეგ, 2010 წლის 1 აპრილს გამათავისუფლეს ყოველგვარი სამართლებრივი სასჯელის გარეშე და დღემდე განსასჯელი ვარ...

— ბატონო დავით, საოცარია — სააკაშვილის რეჟიმის დროს ისე გაგათავისუფლეს, რომ თუნდაც პირობითი სასჯელიც არ შეგიფარდეს?

— არა, არავითარი პირობითი სასჯელი, როგორც გითხარით, დღემდე განსასჯელად ვარ დატოვებული. რვა წელიწადია, სააკაშვილის რეჟიმის დროს არსებულ მახინჯ სამართლებრივ სივრცეში ვარ ჩარჩენილი, მხოლოდ ისაა, რომ მაშინდელმა პროკურატურამ ჩემთან შეთანხმების გარეშე ოჯახის წევრებთან მოლაპარაკების საფუძველზე ე.წ. გირაოს და „ვითომ“ ორგანიზაციისთვის ჩემს მიერ მიყენებული ზიანის (ზარალის) ასანაზღაურებელი თანხები ორ სხვადასხვა ანგარიშზე შეატანინეს... მე მოვიკვლიე ე.წ. მიყენებული ზარალის თანხის საკითხი. ჩემს ყოფილ ორგანიზაციას, რომელიც კანონის შესაბამისად გააუქმეს (ლიკვიდირებული იქნა 2010 წლის 25 მაისს), დანიშნულების შესაბამისად არ ჩარიცხვია არც ერთი თეთრი. ეს თანხა არ ჩანს მითითებულ ანგარიშზეც, მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ეს თანხა ადეიშვილმა და სააკაშვილმა მიითვისეს! ლაპარაკია 80.150 ლარზე.

ალბათ, უპრიანი იქნება, აქვე გითხრათ იმის თაობაზეც, რომ ვიდრე დამაკავებდნენ, 2009 წლის დეკემბრის ბოლოს და 2010 წლის იანვრის პირველ რიცხვებში, პროკურატურის და საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები მირჩევდნენ, დამეტოვებინა ქვეყანა, გავქცეულიყავი, ასევე ჩემი პირველი და უკანასკნელი დაკითხვის დღეს, 18 იანვარს, როდესაც დამაკავეს კიდეც, მევაჭრებოდნენ, რომ გადამეხადა 200 ათასი ლარი, დამესახელებინა ერთი-ორი მაღალჩინოსნის გვარი, რომლებიც ვითომ დახმარებას მიწევდნენ და... არ დამიჭერდნენ! როგორც ხედავთ, მათი და ჩემი შეთანხმება არ შედგა ჩემი პრინციპული წინააღმდეგობის გამო.

თქვენ დაინტერესდით სხვა სასჯელით, იმაზე დიდი სასჯელი ადამიანისათვის არაფერია, ვიდრე უდანაშაულოდ, კანონდარღვევით თავისუფლების აღკვეთაა. მე ვარ უდანაშაულო მსხვერპლი უღმერთოთა და წარმართთა რეჟიმისა, ნაცებმა ჩემ მიმართ განახორციელეს უტყვიო ტერორისტული აქტი!

— როგორც თქვენი საუბრიდან ჩანს, სიმართლის დადგენისა და სამართლიანობის აღდგენისათვის დიდი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ გაქვთ.

— სიმართლის დადგენისთვის ბრძოლას 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ინტენსიურად ვაწარმოებ, ღმერთმა დიდი დღე მისცეს არნახული ნებისყოფის, შორსმჭვრეტელ, საქართველოზე და ქართველ ხალხზე ზრუნვით დამაშვრალ ღირსეულ მამულიშვილს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს,— რომ არა მისი თავგანწირული და ბრძნული მოქმედებები, ჩემს თავს ვინ დაეძებს, სააკაშვილის ხელში ქვეყანა და ხალხი დღეს როგორ უბადრუკ მდგომარეობაში იქნებოდა ჩავარდნილი, ამის გაფიქრებაც კი შიშს მგვრის... ძნელად თუ წარმოიდგენს ადამიანი. სჯობს, თქვენს კითხვას დავუბრუნდე, „გიჟვრაცუას“ რეჟიმის დამარცხებისთანავე მივმართე თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოვითხოვე, მოეცათ ჩემი სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებსაც არ ვიცნობდი. უფრო მეტიც, შეიძლება არ დამიჯეროთ და 2012 წლის ნოემბრამდე თვალითაც არ მინახავს პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნაც კი!

— კი მაგრამ, როდესაც 2010 წლის 1 აპრილს საპატიმროდან გათავისუფლდით, სისხლის სამართლის მასალებს 2012 წლამდე რატომ არ გაეცანით?

— ბუნებრივია, ძალიან მაინტერესებდა, რატომ და რისთვის აღმიკვეცეს უდანაშაულო პიროვნებას თავისუფლება. საქმეში, როგორი სახის მასალებს „მოუყარეს“ თავი. რა თქმა უნდა, ყველაფერი მაინტერესებდა, მე მხოლოდ ვიცოდი, გამოძიება „მითვისებული თანხის“ რა რაოდენობას მედავებოდა და სიტყვიერად ვიცოდი ასევე, რომ სამხარაულის სახელობის სახელმწიფო საექსპერტო ბიურომ თავის საექსპერტო დასკვნაში არ დაადასტურა გაყალბებულ დოკუმენტაციებზე ჩემი ხელმოწერა!

სისხლის სამართლის მასალების გაცნობამდე ზოგჯერ მაწვალებდა იმის შეგრძნება, რომ ხომ არ იყო ისეთი რაიმე, რაც მე შეგნებულად დავარღვიე და არ მახსოვდა, მაგრამ მისი გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო გამიმძაფრდა სიძულვილი სააკაშვილისადმი და მისი სისხლიანი რეჟიმისადმი. საქმე შედგენილი იყო ყურით მოთრეული, სიზმარეული, არაფრისმთქმელი მაკულატურისგან. პროკურატურის უშუალო ზედამხედველობით საგამომძიებლო ორგანომ „შეკერა“ საქმე მათ მიერ ძალადობით დაშინებული, დაშანტაჟებული და სათანამშრომლოდ გადაბირებული ძირითადად ერთი მოწმის ცილისმწამებლური ირიბი ჩვენების საფუძველზე, რის შემდეგ ადეიშვილის პროკურატურამ შეგნებულად შეადგინა აბსურდული, ყალბი საბრალდებო დასკვნა. აქვე დავძენ, რომ ამ დასკვნას თან ახლავს ასევე პროკურატურის ცრუ განმარტება, თითქოს ჩემი მოწმეების დასახელებაზე იმ პერიოდში უარი განვაცხადე! საუბედუროდ, დღემდე ვერ მივაღწიე ჩემი მხარის მოწმეების დაკითხვაზე გამოძახებას.

თქვენ შემეკითხეთ, რატომ 2012 წლის ნოემბრამდე არ გაეცანით საქმესო, როდესაც 2010 წლის 1 აპრილს გამათავისუფლეს, სასამართლოს დარბაზიდან გამოსვლისთანავე გამაჩერა საქმის პროკურორმა და მკაცრი ტონით, ადვოკატთან და ოჯახის წევრთან ერთად მითხრა, რომ არასოდეს დავინტერესებულიყავი და გამექეცა ჩემი საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში მეც და ჩემი ოჯახის წევრებიც უარეს დღეში ჩავცვივდებოდით!!! ამიტომ ვიყავი ორი წელი და რვა თვე პირში წყალჩაგუბებული, ყველაზე მეტად ჩემ გამო აფორიაქებულ ოჯახს გავუფრთხილდი, თუმცა მანამდე არც სამართალდამცველ ორგანოებს გავხსენებივარ. ამიტომაც იყო, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ გავბედე, სასამართლოსთვის და პროკურატურისთვის მიმემართა.

ჩემი საქმე დღემდე დაუმთავრებელია და მე განსასჯელი ვარ! 2012 წლის ოქტომბერში თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი ჩემი მიმართვის შემდეგ განახლდა საქმის განხილვა და პირველი სხდომა იმავე წლის 7 ნოემბერს ჩატარდა. დღემდე შედგა 17 სასამართლო სხდომა, ფაქტობრივად, არსებითი განხილვა არ დაწყებულა. ხუთ წელიწადში საქმეზე შეიცვალა ათი პროკურორი, დაინიშნა მეორე მოსამართლე. 2017 წლის ივნისის შემდეგ სასამართლო სხდომა აღარ გამართულა... როგორც იქნა, ახლა შემატყობინეს, რომ მორიგი სხდომა ნოემბრის შუა რიცხვებში გაიმართება... თუ გულწრფელი ვიქნები, სასამართლოს მიმართ 2012 წლის შემდგომ პერიოდში პრეტენზია არა მქონია, რადგანაც მე და სასამართლო პროკურატურის გამო თმენის და მოლოდინის რეჟიმში ვიმყოფებით. მიუხედავად ჩემი კეთილგანწყობისა, ვერ დავმალავ ჩემს ერთგვარ გულისწყვეტას პროკურატურის მიმართ, თუმცა, იმისიც მჯერა, რომ პროკურატურის დღევანდელი ხელმძღვანელობა სრულყოფილად ინფორმირებული რომ იყოს ჩემს თავს დატეხილი „ჯოჯოხეთის“ გამო, საქმის ვითარება აშკარად სხვაგვარი იქნებოდა.

როგორც მოგახსენეთ, მე პერიოდულად, მაგრამ არა მომაბეზრებლად ვახსენებ თავს მთავარ პროკურატურას განვლილი წლების და ჩემი წლოვანების გამო. ალბათ, ამის შედეგია ის ფაქტი, რომ, როგორც იქნა, საქმე გადაეცა პროკურატურის „სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულობების გამოძიების დეპარტამენტს“, რომელმაც ერთგვარი იმედი ჩამისახა, ველოდები მათგან შეხმიანებას და შეხვედრას. როგორც უკვე გითხარით, **მე ვითხოვ სიმართლის დადგენას და საგამოძიებო პროცესში ჩემს მიმართ ჩადენილი იმ დანაშაულობების და არნახული პროცესუალური თუ პროფესიული ნორმების დარღვევების გამოაშკარავებას, რომლებიც დაუშვეს „ოქროს ტანდემის“ სააკაშვილ-ადეიშვილის დაკვეთით.**

მთავარ პროკურატურაში თავმოყრილია საქართველოს პარლამენტში და პრემიერ-მინისტრთან გაგზავნილი მასალებიც. ყველა ჩემს მიმართვაში მთავარი მოთხოვნაა არა ჩემი შეცოდება და გამართლება, არამედ სიმართლის დადგენა. უმორჩილესად ვითხოვ სიცრუის დეტექტორზე შემოწმებასაც.

გასული წლის 4 აგვისტოს სასამართლოსა და პროკურატურას მივმართე ოფიციალური განცხადებით და უარი ვთქვი 2016 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის „ამნისტიის შესახებ“ აღსრულებაზე ჩემ მიმართ და მოვითხოვე ახალი გარემოებების გამო გამოძიების ჩატარება და მხოლოდ სიმართლის დადგენა.

— რომელ ამნისტიაზე ამახვილებთ ყურადღებას?

— ლაპარაკია 2016 წლის 4 ივნისის ამნისტიაზე, რომელიც შეეხო სისხლის სამართლის კოდექსის მთელი რიგი მუხლებით ბრალდებულ, მსჯავრდებულ და განსასჯელად მყოფ ქალებს 65 წელს და მამაკაცებს 70 წელს გადაცილებულთ! ჩემს საქმესაც და მეც, ეს ამნისტია შეგვეხო, მაგრამ, როგორც გითხარით, უარი განვაცხადე აღსრულებაზე. ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, ამნისტია შეეხო ქვეყნის სულ 120 მოქალაქეს, მაგრამ ჩემსავით რამდენმა განაცხადა უარი, ამის დამადასტურებელი ინფორმაცია ჯერჯერობით არა მაქვს.

— გწამთ თუ არა, როგორც თქვენ ხშირად ხაზგასმით ამბობთ, სიმართლის და სამართლიანობის აღდგენის?

— ღმერთმა დამიფაროს, რომ არ მწამდეს, ამის ყველა წინაპირობა არსებობს, რადგან საქართველო ხუთი წელიწადია, დაადგა სამართლიანობის გზას. ერთი წუთით არ მინდა გულში გავივლო, რომ სანანებლად გამიხდება „გარეკილ პირველის“ — სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლა. მწამს დაინტერესდებიან და 73 წლის ხანდაზმული, ჯანმრთელობაშერყეული კაცი არ დავრჩები ბურუსით მოცულ, გაურკვეველ მდგომარეობაში.

სასაცილო და ბედის ირონიაა ჩემ ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა, იმის მაგივრად, რომ საქმის გამყალბებლებს, დამნაშავეებს სააკაშვილ-ადეიშვილს პასუხს სთხოვდნენ, პირიქით, მე მიხდება თავის მართლება.

ესაუბრა გიორგი ქობულაძე

რედაქციისაგან:

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, ბატონი დავით წერეთელი მრავალთა შორის ერთ-ერთი მსხვერპლია სააკაშვილის ხელისუფლებისა. მისი სრულიად უდანაშაულოდ, პოლიტიკური მოტივებით, შურისძიების საფუძველზე დასჯა არავის უკვირს, გასაკვირი ის არის, რომ დღევანდელ საქართველოში, სამართლიანობის აღდგენის პირობებში, რამდენიმე წელიწადია, დიდი მოთმინებით ელოდება სიმართლის და ღირსების აღდგენას.

კოლეგა-ჟურნალისტები ღვაწლმოსილ პიროვნებას დავით წერეთელს უყურადღებოდ ერთი წუთითაც აღარ დავტოვებთ, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ხშირად მოიკითხავს, რა რეაგირება მოახდინა მთავარმა პროკურატურამ დღევანდელ ექსკლუზიურ ინტერვიუზე... ვფიქრობთ, ამაში მთელი ჟურნალისტური კორპუსი მხარში დაგვიდგება.

უმორჩილესად ვთხოვთ საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძეს, ოპერატიულად, ჩვეული გულისხმიერებით დაინტერესდეს ჩვენი კოლეგის დავით წერეთლის საქმით.

„დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს!“

...იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტმა არად ჩააგდო ჩემი კანონპროექტის იდეა, რომელიც ათასობით გლეხს **გაათავისუფლებს ტანჯვა-წამებისგან**, რასაც 15 წელია, ვთავაზობ, და პრესითაც არაერთხელ მივმართე შთამბეჭდავი სათაურით: „იმუშავეთ, გლეხებო, ჭამეთ დეპუტატებო“, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გავიმეორებ:

რადგან ზოგიერთი მაღაზია გლეხს **გაყიდული საქონლის შემდეგ** არ უხდის თანხას, კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად საჭიროა საგადასახადო სამსახურის მუშაკის ან პატრულის გამოძახებისთანავე გააფრთხილონ მაღაზიის მეპატრონე თანხის გადახდის ვალდებულებაზე, და თუ არ გადაიხადა, **ასეთი მაღაზიები დაჯარიმდეს თანხის ორმაგი ოდენობით.** მეწარმეს მიეცეს თავისი თანხა, ხოლო დამატებული კი შევიდეს ბიუჯეტში მსგავსად იმ კანონისა, რომლითაც ხორციელდება პატრულის მხრიდან მძღოლის დაჯარიმება გადაუხდელობისას, **ანუ იგივე კანონი იმავე სახელმწიფოში ამოქმედდეს გლეხებისთვისაც.** აღნიშნული პრობლემა გადაწყდეს სასამართლოს გარეშე, რადგან გლეხი, რომელსაც (მაგალითად) 40 მაღაზიაში აქვს ჩაბარებული საქონელი და აქედან 10 მაღაზია აწამებს 100, 200 ან თუნდაც 300 ლარისთვის, ათჯერ სასამართლოში არც წავა და ვერც წავა, გლეხის არსიდან გამომდინარე. თუ მაინცდამაინც სასამართლოა საჭირო, მაშინ ასეთი საკითხები უნდა იხილებოდეს 48 საათის განმავლობაში, საქმით რომ იყოს დაფასებული და დაცულიც გლეხი სახელმწიფოსგან.

ზემოაღნიშნული კანონის არარსებობის გამო არაერთი მაღაზიის მეპატრონეები გვაწამებენ, გვახდევინებენ **XXI საუკუნის ხარკს** (ვინც დაინტერესდება, მივაწვდი კონკრეტულ ფაქტებს და მასალებს), **გადავწყვიტე, ხელი ავიღო მეწარმეობაზე, ვაზზე, ვენახზე,** მაშინ, როცა ვაზზე შექმნილი მაქვს 58 გამოგონება, გამოქვეყნებული მაქვს 100-ზე მეტი ეროვნული მნიშვნელობის სტატია. 5 დანერგილი გამოგონებით 1980-90 წლებში საქართველომ მიიღო 2 მილიონი მანეთის მოგება, რისთვისაც მომანიჭეს დამსახურებული გამომგონებლის წოდება, სახელმწიფომ დამაჯილდოვა ოქროს მედლებით, 5-ჯერ — უმაღლესი საავტორო გასამრჯელოებით — 20-20 ათასი მანეთით. პირველი 20 ათასი მანეთი გადავრიცხე ჩერნობილის დახმარების ფონდში (რისთვისაც საკავშირო მინისტრებმა დამასაჩუქრეს „ვოლგებით“).

საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასა და ღირსეულ ქართველობას ვურჩევ ყურად იღონ ბატონ თამაზ ქვლივიძის ერთობ ღირსშესანიშნავი მოწოდება.

ჭაბუა ამირეჯიბი
ბერი დავითი

05. 03. 2009 წელი თბილისი



მიუხედავად იმისა, რომ პოპულარიზაციას ვუწევდი მევენახეობის ახლებურად განვითარებას — მცირე მასშტაბით, თუ როგორ შეიძლება მევენახეობაში მექანიზაციის ხარჯები შემცირდეს 50%-ით, გამონთავისუფლდეს ქვეყნის მასშტაბით 100 ათას ჰექტარამდე მიწა, იხილეთ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული მონოგრაფია „მევენახეობა ახლებურად“. ასევე მსურდა, განმეხორციელებინა მრავალი ინიციატივა და იდეა, რის დასადასტურებლად იხილეთ „ვაზი — ჩვენი სიამაყე“ და „ხვალის ვენახი“, მაგრამ მნიშვნელოვანს აქაც გავიმეორებ.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას, სრულიად ახალგაზრდამ და დიდი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილმა, გადავწყვიტე, რუსთაველის 800 წლისთავის აღსანიშნავად გულიდან დაძრული 800 სტრიქონი მიმეძღვნა დიდი პოეტისათვის. დავაპირე კიდეც უნივერსიტეტის გაზეთში გამოქვეყნება, თუმცა ვერ გავბედე. რასაკვირველია, პროფესიონალ პოეტობაზე არავითარი პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ რუსთაველის მიმართ ჩემს სიყვარულს, რამაც ეს სტრიქონები დამაწერინა, ვინ დამიშლის, ვინ ამიკრძალავს. ვიმედოვნებ, როგორც ლექსის ჭიას აყოლილს (ყველა ქართველი ხომ პოეტია!), მკითხველი ამ ჩემს ლექსად გამოხატულ გულისთქმაში წყალწაღებულ სამიანს მაინც დამიწერს.

ქვეწარმავლური სიავე მტერს ჩვენთვის დაუთესია...

ვაზი რომ გულით გავსხალი და გამომქონდა წალამი,
მომწადდა ფიქრის გალექსვა, ხელში ავიღე კალამი,
ფიცხლად ლერწისგან დავწანი შოთასთვის ოქროს ალამი,
მოკრძალებულად ვაახლო რვაასი სტროფით სალამი.

შენ უკვდავ პოეზიისთვის მარგალიტების მქსოველო,
შეგესიტყვები თამამად, სახელოვანო ქართველო,
სიკარგკაცობით განთქმულო, უკვდავო
შოთა რუსთველო,
ჩემს აზრებს გაგიზიარებ, ოქროს რითმების
მმართველო.

ვით ნორჩი პწკალი ვაზისა შემოეხვევა მავთულსა,
ერი მისებრად ეკვრება „ვეფხისტყაოსანს“
განთქმულსა,
მტერიც რომ ამას აკეთებს და აღიარებს ამ წნულსა,
ცოცხლად მიტომაც გიცქერით დღესაც ფიქრებში
გართულსა.

შენი წიგნი კვალავაც გვმოძღვრავს და რითმაც რომ
ტკბილად გვათრობს,
ქართველების ადათ-წესებს ამიტომაც ბევრი ნატრობს.
გული ქველი კარგად ფეთქავს, უფრო მეტად მაშინ ხარობს,
როცა ისმენ — რუსთაველი პოეზიას წინამძღვარობს.

გულმოდგინედ, ცნობიერად პოემას რომ გავიხსენებ,
შენი ყოფნით ღმერთს მადლობას მუხლმოდრეკით
მოვახსენებ
და მომავალს გზის სავალად ჩემგან თქმულსაც
შევახსენებ:
კაცსა მუდამ სიამეს ჰგვრის, გზას თუ ტკბილად
გაუხსენებ.

დაე, იყოს სამახსოვრო, რაცა ვთქვი ომახიანად:
ქვეყანა მედგრად წაიწევს და არასოდეს ზიანად,
თუ დავამკვიდრებთ მუდამჟამს კანონს და წესებს
ფხიანად,
არმართებულის მოსპობას და ქცევას ლაზათიანად.

ფლიდობა ჩვენ ვერ გვიშველის, ის მხოლოდ ერის
წყლულია,
რადგან სუყველგან ეს სენი დამღუპველი და კრულია.
სჯობს, ამოვძირკვოთ ეს ჭირი, რაც ავის დასასრულია
და სამართლისა ზანტობით ხვალის დღე დაბურულია.

რა იქნებოდა სანაცვლოდ გვეხილა სიხარულია,
მაგრამ ერისთვის უბირი მარადჟამს გაყინულია.
ვისი არსებაც, ბაასიც სიბოროტე და წყლულია,
მისი ბოგინი მიწაზე დე იყოს გარიყულია!

კაცის ერთგულის, კეთილის ხილვა დღემუდამ ძნელია,
რადგან ამქვეყნად მრავალი სიკეთის დამკარგველია,
საუბედუროდ ასეა, რაც მტრობის საფუძველია,
ეს დალოცვილი ქვეყანა ხომ ჩვენი მოსავლელია.

კვლავაც მინდა, წარჩინებით თან წარვმართო ისე წყობა,
რომ ფრიადზე ჩაგაბაროთ, რაა ჩემი აქ განწყობა.
მე სიმდიდრე არ მჭირდება, არც საჩინოდ გამოწყობა.
მსურს დღეიდან განადგურდეს მტრობა, შური და „ჩაწყობა“.

ფიქრსა სევდა რომ ედება, შენს წიგნს ვიღებ საგანძურსა,

ოქროს კალმით დაწერილსა, საკითხავად დასაშურსა,
კარს გავაღებ, სახლსა შევალ, მადლს მივაგებ
ლუკმა-პურსა,
მარანს გავალ, ჩამოვასხამ ერთ ხელადა ბუდეშურსა.

პირველ ჭიქას მარჯვედ ავწევ, ღმერთს დიდებას
მოვახსენებ,
წინაპრებს რომ გავიხსენებ, გულსა ამით დავამშვენებ,
შვილიშვილებს საამურად ლექსებს ტკბილად
ვათქმევინებ,
დარდსაც ამით დავივიწყებ და სულითაც მოვისვენებ.

ცისკრად ახალს მოვიფიქრებ — ბნელეთსა შევხსნათ კარები,
ბურუსი ისე გავფანტოთ, რომ მოვიკრიბოთ აზრები
და აღვადგინოთ ძირძველი, მივიწყებული ტაძრები,
ერის და ბერის ყურისთვის ავახმიანოთ ზარები

მაღალხმიანი რისხვითა ჩვენივე მომავლისთვისა.
დღეს საქართველო იცლება სხვა ქვეყნის
სამოთხისთვისა,
სანაცვლოდ კიდევ ივსება მტრის გულის
ქმედებისთვისა,
რამე ვიღონოთ, მგოსანო, სამშობლოს დიდებისთვისა.

გულსა ამოსკდა წადილი მამულის აღზევებისთვის,
განახლებულად გავწიოთ ჭაპანი საქართველოსთვის,
ღვთიური არსით წარვმართოთ დღეს გეზი მომავლისათვის,
წალკოტის გვარად დაიწნას ხვალის დღე
წუთისოფლისთვის.

ის სადღეგრძელო რად ვარგა, რომ დარჩეს აუწეველი,
ანდა ისეთი ის რთველი, ყურძენი დაუწურველი,
თუ კვლავაც ისე ვიქნებით დახმარებების მხვეწელი,
სჯობს ვუერთგულოთ სამშობლოს, არ დავრჩეთ
შემომხვეწელი.

ჩემს საქართველოს ვუსურვებ, ედემის მსგავსად
აყვავდეს,
და სამყაროში ყველასთან გამარჯვებული წავიდეს,
სიახლეებით ანაზდად ისეთ მწვერვალზე ავიდეს,
ვარსკვლავის დარი სახელი ქვეყნის გარეთაც
გავიდეს.

გულს მიხარებს არემარე, ზევით ქედი, დაბლა ველი,
წინაპარი უძლეველი, მაღლა ღმერთი საკვირველი,
ყველა ნაღდი მეგობარი, მით უმეტეს ძველისძველი,
შენი წიგნი სანუკველი და ლექსები უშურველი.

მეაზრება კიდევ ისიც, ერსა ჭირი მოჰკლებოდეს,
მტრობა, შური, სიბოროტე ზღვის ქაფივით გაჰქრებოდეს
და სანაცვლოდ სიყვარული ძალგულოვნად მყარდებოდეს,
გულსახარად საქართველო ქართველებით
მრავლდებოდეს.

მუზა უკვე ფიქრს შორდება, გამოწურვაც მიძნელდება,
მაგრამ ლექსის დედააზრი მაინც ჟინით მიგრძელდება:
თუ სამშობლოს გულისგული იდეებით გამდიდრდება,
მოკაზმული საქართველო ახალ გზნებით განახლდება!

მწადის, მუდამ ტურფა იყოს არემარე, გზა და კვალი,
ღირსეულად რომ იხადოს ყველა კაცმა თავის ვალი,
საკადრისად ფასდებოდეს გლეხი კაცი, მოსავალი,
რომ ფრიადზე განვითარდეს საქართველოს მომავალი.

სამშობლოსათვის ამაგი სული, გული და თვალია,
აქა შენს სიბრძნეს მოვიხმობ, სიბრძნითვე გარითმულია,
„უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია“.
ესაა ჩვენი მიზანი და სიყვარულით თქმულია.

ეს ლექსი ჩემი ხოტბაა, გზნებით რომ მინდა აფრინდეს,
მისი წაკითხვა მკითხველსა სათნოებითა მოუნდეს,
მიჯობს სიკეთე ვაკეთო, თუნდაც უკუღმა დაბრუნდეს,
ვიდრე ვიარო კარ-და-კარ, სიცოცხლე არა მშვენოდეს.

ხვალის ვენახის შენებით, უიმედობის დათმითა
ავდექ და ლექსი ავაწყე ენაწყლიანი რითმითა,
ისევ და ისევ ვენახზე ახალი აზრების გაკვრითა,
ხნოვანებაში შესული ჩემი ჭაღარა ამ თმითა.

ვენახს როცა მიადგება საფურჩქნავად კაცი, ქალი,
ვაზი მაშინ მარგალიტობს, რომ ეკვრება ჭიგოს პწკალი,
იქ მტევანი გვერდს ნამხარი და ფეშქაშად
ის მარცვალი,
წინ საჩინოდ რომ გიზგიზებს ოქროს რთველის
ნაპერწკალი.

მევენახე ვარ ძირძველი, აქ უცნაური რა ხდება?
ვაზთან დარჩენა ვენახში შუაღამემდე მიხდება,
ვითა ალერსი ოჯახში ყოველდღიურად მწყურდება.
თუ კარგად რამე ვერა ვთქვი, არც არაფერი წახდება.

დღე და ღამეს გავასწორებ ჩემი ქვეყნის გულისათვის,
და არასდროს არ გადავდებ ერის საქმეს
ხვალისათვის,
თუნდაც მქონდეს გულში სევდა, და ეს იყოს შვილისათვის,
მიჯობს მარჯვედ დავიხარჯო მოსახდელი ვალისათვის.

რთველია ულამაზესი, გაჩაღებული მეზვრისა,
ქოხის წინ ისმის „ა�ა“ გასუქებული ვაცისა,
მას ალამაზებს იერი მიჯნას მიბმული კვიცისა,
ასკეცად მიღირს დავტოვო კვალი კეთილი კაცისა.

იქ, პარლამენტში, ხანდახან მიტომ ფუჭია სესია,
მტრობა, შური და ქიშპობა პირველობისთვის წესია,
მაგრამ რა ვუყოთ, ხომ ვიცით, ჩვენს მიწა-წყალზე
თესია,
ქვეწარმავლური სიავე მტერს ჩვენთვის დაუთესია.

საქართველოში არავის არ უნდა ავიწყდებოდეს:
„დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“.
კაცი რომ ლაღად შრომობდეს და არა უძნელდებოდეს,
ერი ამაყად ცხოვრობდეს და ათინათით ტკბებოდეს,

შენს სიბრძნეს მოვიშველიებ, გულში რომ მინდა ადუღდეს,
„თქვა, ჩემო, შენი შორს მყოფი კრულია ვინცა
დადუმდეს“,
გვირჩიე რამე ისეთი, ერი არასდროს დადუნდეს,
გადახვეწილი თაობა კვლავ სამშობლოში დაბრუნდეს.

ღმერთის ნაბოძს შუაზე ვყოფ, ერთი არის ძილის თარგი,
მეორე კი დღის სინათლე, მჭვრეტელი და ძლიერ კარგი,
სამშობლოს რომ დაჩქარებით აუყვავდეს ყველა დარგი,
სჯობს, ნიადაგ აღარ იყოს კაცის ნიჭი დანაკარგი.

წუხელ ღამით სიზმრად ვნახე ავთანდილი, ტარიელი,
გამიხარდა, რომ ვიხილე, ცხადში დავრჩი ცარიელი,
რახან გვინდა მტერი იქცეს, ვითა მკვდარი მორიელი,
ჩალად ვიღოთ მტრის ნამუსი, კაცობა და საქციელი.

მტერი იმკვალად გეხვია, ვით სკასა მუშა ფუტკარი,
ლექსი რომ საგალობელი ტკბილი მარცვლებით დაჰკარი,
ვგონებ, ამიტომ დატოვე საქართველო და სახლ-კარი,
რადგან ყურს, ვფიქრობ, უთუოდ დარდი,
ვარამი მოჰკარი.

დედ-მამისათვის რომ იყავ ტურფა და ნაზი ყმაწვილი,
აკვნიდან მაშინ ისმოდა შენი საამო ჟივილი,
როდესაც გახდი მგოსანი, უკვდავი მამულიშვილი,
გულ-ბოროტებმა გაქციეს იმ ქვეყანაში ლტოლვილი.

არა ვისიმე წყენისთვის ან თუნდაც კამათისთვისა,
საქართველოში აზრების ჭკვიანად წყობისათვისა,
დედამიწაზე მუდმივად უჭკნობი სიცოცხლისთვისა,
მადლობა „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავად დაწერისთვისა.

„აჰა, ჟამი, ვისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა“,
დია მწადის, რუსთაველო, შენი ფიცხლად გამოყოლა,
ერთად უკეთ დაიძლევა სამომავლო აზრთა რბოლა,
და მიტომაც გაგიბედე ამა წყობით ლექსთ მოყოლა.

ეს გავბედე საწილადოდ, ჩვენი ქვეყნის
მომავლისთვის,
წინაპართა სადიდებლად, მოსახდელი ვალისათვის,
ხვალინდელი ვენახისთვის, მისი არსის გახსნისათვის,
რაინდების გულისხმისთვის, დალოცვილი ვაზისათვის.

თამაზ ქვლივიძე,
ქ. საგარეჯო.
599-10-43-18

ბერლინის „ძველებური მუსიკალური აკადემიის“ თბილისური ფურორი

თბილისის მე-3 საერთაშორისო ბაროკო ფესტივალმა მსმენელებს არნახული საჩუქარი გაუკეთა — თბილისში ჩამოვიდა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ბაროკო ანსამბლი — ბერლინის „ძველებური მუსიკის აკადემია“. იგი დაარსდა 1982 წელს აღმოსავლეთ ბერლინში ახალგაზრდა მუსიკოსების მიერ, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ ბაროკო ეპოქაში შექმნილ ინსტრუმენტებზე შეესრულებინათ იმავე ეპოქასთან მაქსიმალურად მიახლოებული შესრულების მანერით. მეოცე საუკუნისთვის ეს იყო ძალზედ უცხო და საინტერესო. შემსრულებელთა ეს კოლექტივი აქტიურად ჩაერთო აღმოსავლეთ გერმანიის რამდენიმე ფესტივალში. გერმანიის გაერთიანების შემდეგ მათ გაცილებით დიდი გასაქანი მიეცათ. დაიწყო მათი ჩაწერა სახელგანთქმულ ხმის ჩამწერი სტუდიების მიერ (კერძოდ, 1994 წლიდან ფრანგული Harmonia Mundi), აგრეთვე საშუალება მიეცათ ეთანამშრომლათ დასავლეთში მოღვაწე ძველებური მუსიკის აღიარებულ შემსრულებლებთან. ორკესტრს დიდი ბიძგი მისცა რენე იაკობსთან ურთიერთობამ, რომელმაც ორკესტრი სასულიერო (კანტატები, ორატორიები) და საოპერო მუსიკის შესასრულებლად გამოიყვანა.

პირად მუსიკალურ ფონდში ამ ანსამბლის მრავალი ჩანაწერი მაქვს, მათი შესრულება სცენაზეც მომისმენია. ამდენად, ორკესტრი ჩემთვის ნაცნობიც იყო და საყვარელიც. მაგრამ თბილისში მათ ჩამოსვლას სხვა ელფერი ეძლეოდა — აქამდე არც ამ და არც წინა საუკუნეში, თბილისში არც ერთი ბაროკო ორკესტრი არ ყოფილა.

ამჟამად გერმანელები შედარებით მცირერიცხოვანი კოლექტივით ჩამოვიდნენ — სულ 14 წევრი, მათ შორის ორკესტრის მუდმივი კონცერტმაისტერი მე-ვიოლინე **ბერნჰარდ ფორკი** (Bernhard Forck).

7 ნოემბრის პროგრამის პირველი განყოფილება მოიცავდა ტელემანის და ი.ს.ბახის კამერულ მუსიკას. ტელემანის ცნობილ სოლ მინორული სიუიტის `La Musette` TWV55:gl შესრულებისას ორკესტრი შეივსო შვიდი ქართველი მუსიკოსით — სიმებიანი ინსტრუმენტები „საქართველოს სიმფონიეტიდან“.

ტელემანის მოსმენა სცენიდან ყოველთვის იწვევს მხიარულებისა და ცეკვის სურვილს. სიუიტა იყო ამის ნათელი მაგალითი, განსაკუთრებულად გამოვყოფდი ნაწილებს, რომელიც თავისი ცეცხლოვანი რითმით პირდაპირ მუხტავდა მსმენელს. ტელემანის მომდევნო, რადიკალურად განსხვავებულ ნაწარმოებს (ფა მინორული სონატა, რომელშიდაც მეტი ფიქრი და კამერულობა იყო), ეტყობოდა იტალიური მუსიკალური სკოლის უდავო გავლენა. კლავესინის გადაადგილების შემდეგ, როდესაც იგი მოათავსეს ახლოს დარბაზისაკენ და ცენტრში, შესრულდა იოჰან სებასტიან ბახის მეხუთე ბრანდენბურგული კონცერტი BWV1050. იგი ცნობილია კლავესინის დომინანტით და სოლო კადენციით. მას შუა ნაწილებში ტრიო სონატის ფორმით პარტნიორობას უწევდა ვიოლინო და ფლეიტა. შესრულება იყო აკადემიური, დახვეწილი და ნიუანსებით სავსე. ჩვენი კლავესინი (ორკესტრს იგი თბილისში დახვდა) მოულოდნელად გაცოცხლდა და **რაფაელ ალპერმანი**ს (Raphael Alpermann) ხელში ხმოვანებაც მოემატა. ერთ-ერთ, უცნაურად ზედა რეგისტრში კი წაიწრიპინა ინსტრუმენტმა, რაც მის აუცილებელ აწყობას გვამცნობდა. ეს იყო და ეს. ბრანდენბურგული ეს კონცერტი არის ხალისიანი, სიცოცხლით სავსე, სწორედ ამ ტალღას აჰყვა დარბაზის სულ პაწია მსმენელი, ოთხი წლის გოგონა, რომელიც პირველი რიგის წინ მუსიკის ტაქტში ცეკვა-ცეკვით ერთობოდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ გერმანელ მუსიკოსებს, რომლებიც ამით მეტად გახალისდნენ.

მეორე ნაწილში შესრულდა კარლ ფილიპ ემანუელ ბახის რე-მინორული ფლეიტის ერთ-ერთი ცნობილი კონცერტი Wq22, ფლეიტისტი **ქრისტოფ ჰუნტგებურთი** უწევდა პარტნიორობას გერმანულ ორკესტრს. ფლეიტის პარტია, განსაკუთრებით მესამე ნაწილში, არის რთული, ვირტუოზული და სოლისტი მას ნორმალურად გაუმკლავდა, თუმცა რაიმე დახვეწილი ტექნიკის ან საოცარი ტემპის მაგალითი არ უჩვენებია. ანტონიო ვივალდის ხელწერა დაუვიწყარი და განუმეორებელია — ასე იყო ახლაც, როდესაც ორკესტრმა მისი დო-მაჟორული კონცერტი RV114 შეასრულა. ამ კონცერტის მეორე ნაწილში ვიოლინო ავლენს ყველა სახის ტექნიკურ მაგალითს — გასაოცარი იყო ამის ნახვა ბერნჰარდ ფორკის ხელში. სუსტი, მაღალი, მოქნილი ფორკი პატარა ვიოლინოს ჯადოსნურად ფლობდა. მან არც არტისტული მიხრა-მოხრით და არც დემონსტრაციული ფორტეებით დატვირთა შესრულება. მაგრამ არცთუ უემოციოდ, ძალზე აკადემიურად და დახვეწილად ფლობდა იგი ბაროკო ვიოლინოს.

ოთახის აკუსტიკას, რომელსაც წინა ფესტივალის დროს ვემდუროდი, ხელი არ შეუშლია სიმებიანების შესრულებისთვის — ინსტრუმენტები ფაქიზად და დამოუკიდებლად ისმოდა, მათი ბალანსი იყო იდეალური და ჟღერადობა წამახვილებული ზედებით, რაც ასე ტიპურია ბაროკო ინსტრუმენტებისათვის და დამახასიათებელია ამ ორკესტრის ჩანაწერებში. ამ ფაქტმა გამაკვირვა და ბევრი სხვა ჩემში წარმოშობილი ის კითხვები გადაწყვიტა, რაც ჩვენი ორკესტრისა (საქართველოს სიმფონიეტასა) და აკუსტიკის მიმართ მქონდა აქამდე. მთავარი მაინც იყო ფორკი — გერმანული ორკესტრის სული, იგი ასახიერებდა ამ ორკესტრის საუკეთესო და უმაღლეს მიღწევებს, მისი დამაჯერებელი ხელმძღვანელობა ეჭვს არ იწვევდა ორკესტრანტების პროფესიონალიზმში და სანდოობაში. კონცერტი დასრულდა ჯემინიანის მე-12 კონჩერტო გროსოთი „La Follia“, რომელიც კორელის op5 კონცერტების საფუძველზეა დაწერილი. უცნობილესმა ბაროკო მელოდიამ ჯემინიანის რედაქციით და გერმანელების შთამბეჭდავი შესრულებით აუდიტორიის არნახული გამოძახილი პოვა, ამ კონცერტში წამყვან ვიოლინოს დრო და დრო ჩელო და კლავესინი უბამდა მხარს, მერე ძირითადი მელოდიის ვარიაცია მეორდება უკვე ორი ვიოლინოს ექოსმაგვარ დუეტში, სადაც ექო სხვა სიმებიანით იცვლება. ეს მეტად ეფექტურად და აკუსტიკურად გათვლილ შესრულებაში გადაიზარდა — ექო სიმებიანები ფორკმა განათავსა სცენის საპირისპირო მხარისკენ და შუაში, მაშინ, როდესაც თავად მაყურებლისაგან მარცხენა მხარეს იდგა. დაუვიწყარი იყო როგორც მთელი კონცერტის, ასევე ამ ბოლო ნაწარმოების შესრულება, სადაც ორკესტრს არ ჰქონია არც ტემპის ჩავარდნა, არც სინქრონულობისაგან აცდენა, და არც ინსტრუმენტები არ გადადიოდნენ ერთიმეორეზე. ეს იმ პირობებში, როცა ორკესტრი 11 სიმებიანით, 2 ჩასაბერით და ერთი კლავესინით იყო წარმოდგენილი.

დაბოლოს, ქართველ მსმენელებს ვუსურვებდი, მრავლად მოესმინოთ ჩვენში ასეთი წარმატებული კონცერტები.

დავით გიგინეიშვილი

შენ დაუკა! ოღონდ... არასამხიარულო!

(მესამე გვერდიდან) როგორც ხედავთ, არავინ ამბობს რომ შევარდნაძე ფრთიანი ანგელოზია, რომ წმინდანად უნდა შეირაცხოს. როგორც ყველა პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე ან მეთაური, მასაც ჰქონდა შეცდომები, პაწიაც და სერიოზულიც, მაგრამ...

უმადურობასაც, პოლიტიკურ სიბეცესაც, უკულტურობასაც აქვს საზღვარი. თუნდაც, იმ გამოფენას, თქვენ რომ „ევროპის მოედანზე" გახსენით, ვერ გაიკეთებდით ვერასოდეს, რომ არ ყოფილიყო საერთაშორისო სახელმწიფო მოღვაწეთა მცირერიცხოვანი კოჰორტა, რომლის შემადგენლობაში შევარდნაძეს ბოლო ადგილი არ ეკავა და რის გამოც დედ-მამის სულს უტრიალებენ ჟირინოვსკები რუსეთში და, ზოგჯერ... საქართველოშიც.

მადლობა ეკუთვნის ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, რომ თავის გამოსვლაში არ „გაატარა" სუბიექტივიზმის, არაკომპეტენტურობისა და უმადურობის სამარცხვინო ნაბიჯი, მით უმეტეს სახელმწიფოს დონეზე მოწყობილი აქციისას და მართებულად მიანიშნა: ისტორია არისო ისტორია! დავამატებდი: და მისი შეცვლა ძალუძთ მხოლოდ დიდ მოღვაწეებს და არა... საქართველოს მთავრობის აპარატის პიარ-სამსახურში, მერიისა და საგარეო საქმეთა სამინისტროში მოკალათებულ ზოგიერთ მცირე განათლების მქონე, ნაკლებად წიგნიერ და სახელმწიფო მოხელისთვის აუცილებელი პასუხისმგებლობის დეფიციტის მქონე „გოგონებს და ბიჭუნებს", რომლებიც კაცმა არ იცის რა გზით, რის საფუძველზე, რა ინტელექტუალურ-ზნეობრივი კრიტერიუმებით მოხვდნენ ამ უმნიშვნელოვანეს სტრუქტურებში. და ვიდრე ასეთი განუკითხაობა სუფევს ზოგიერთ სახელმწიფო დანაყოფში, არც სკანდალი და არც უხერხულობა არ იქნება იშვიათი მოვლენა.

ახლა დაპირებულ „მიზეზსაც" მოგახსენებთ: დიდი ალბათობით, ამ „გაუგებრობის" თავი და თავი ისევ მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში უნდა ვეძებოთ. გული მიგრძნობს, რომ ამ „ინციდენტის" მოკვლევა ჩემს ვარაუდს დაადასტურებს. აქედან გამომდინარე, კვლავ უნდა შევძახო: ცოცხია, ბატონო პრემიერო, საჭირო, ცოცხი! და თუ დაგვა არ შველის, მაშინ კომბალი უნდა მოიმარჯვოთ! არა მგონია, მაგ „იარაღის" შოვნა მაინც რომ გაგიჭირდეთ. ბატონი ჯეჯელავა ხომ მანდვე გყავთ, და ეგ საქმე მან მართლა კარგად იცის.

P. S. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა ერთი ფაქტი: 80 წლისთავზე შევარდნაძემ გერმანიიდან ამაღელვებელი საჩუქარი მიიღო, ზუსტად ისეთი ნატეხი ბერლინის კედლისა, რომლის გამოფენა ზარზეიმით გაიხსნა ევროპის მოედანზე. ნატეხებს შორის ის სხვაობაა, რომ „გუშინწინდელი" ექსპონატი, გიორგი კვირიკაშვილის ხელით, საქართველოს გამოუგზავნეს, ხილო ის, საიუბილეო ფილა, პირადად შევარდნაძეს, მოკლე, ამაღელვებელი და მრავლისმეტყველი წარწერით: „გმადლობთ, ედუარდ!"

ასე მაღალკულტურული ადამიანები იქცევიან, სხვისი დამსახურების დამნახავები, ვისაც მადლიერების გრძნობა გააჩნია.

ეს ისე, უბრალოდ, იმათ გასაგონად ვისაც მეხსიერებასთან, მხედველობასთან, სმენასთან და ობიექტურობასთან აქვს... პაწა პრობლემა.

მე კი ისღა დამრჩენია, შევძახო:

შენ დაუკა... ოღონდ, არასამხიარულო!!!

* * *

სამწუხაროდ(!) ჩემი ვარაუდი გამართლდა. ევროპის მოედანზე გამართული ღონისძიების მომზადებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურს.

ადმინისტრაციის განცხადება დაწერილი კი არის „ოსტატურად", არ არის განმარტებული შევარდნაძის როლის იგნორირების მიზეზი, არიდებულია შეფასებები, არც მობოდიშება ჩანს. ყოველივე ეს არ ცვლის რეალობას და არ ამსუბუქებს გულისტკივილს. პრაქტიკულად, ამ განცხადებით, ადმინისტრაცია გადაეფარა გერმანიის საელჩოს, რომელიც, როგორც ჩანს, მართლაც არაფერ შუაშია ამ „სკანდალთან."

ნამდვილად არ მიხარია, რომ, პრაქტიკულად, მთლიანად მართლდება ჩემი შეფასებები მთავრობის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის უსუსურობის და მამალი პრიმიტივიზმის თაობაზე.

პოზიტივი ის გახლავთ, რომ პირველად მთავრობის ადმინისტრაციამ, პრაქტიკულად, მორიდებული თვითკრიტიკულობით აღიარა თავისი ნაკლი. და ეს არის პრემიერ კვირიკაშვილის მეტისმეტად მოსაწონი ნაბიჯი.

თბილისის მერიის ანალოგიურ სამსახურს ერთობ სწორი შეფასება მისცა ახალმა მერმა. მან განაცხადა რომ მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მდგომარეობა, სტილი მისთვის მიუღებელია.

სამთავრობო სტრუქტურებში ამ მიმართულებით დაკავებულია ასეულობით ადამიანი. ბევრი მათგანი არაპროფესიონალია. შედეგიც შესაბამისია. ამაზე მეტყველებს პრაქტიკა. როდემდე?

მე არაერთგზის გამომიქვეყნებია მწვავე შეფასებებით და საფუძვლიანი არგუმენტებით „დახუნძლული" წერილები ამ პრობლემასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, არ დამიმალავს ჩემი განსაკუთრებული კრიტიკული დამოკიდებულება პროკურატურის შესაბამისი დანაყოფის მისამართით, ველოდები გამოძიების დამთავრებას „ფარულ კადრებთან" დაკავშირებით. აი, მას შემდეგ კი ვაპირებ პასუხი მოვთხოვო ამ სამსახურში „მომუშავე" ტიპაჟს და მის ხელმძღვანელობას, რომლისთვისაც ადამიანების რეპუტაციის შელახვა უპასუხისმგებლო განცხადებებით და ჭორაობით, ამ მიზნით ზოგიერთი მედიასტრუქტურისა და კოხტაპრუწა ტელერადიოწამყვანების გამოყენებას წერტილი უნდა დაესვას.



აღდგომა და ხვალეო!

ნუგზარ ფოფხაძე.



ჩრდილოეთ კორეელმა მესაზღვრეებმა გაქცეული ჯარისკაცი მოკლეს

ჩრდილოეთ კორეელი სამხედრო მოსამსახურე დემილიტარიზირებული ზონიდან სამხრეთ კორეაში გაქცევას შეეცადა, რა დროსაც ის სნაიპერმა მოკლა. გავრცელებული ინფორმაციით, სამხრეთ კორეელმა ჯარისკაცებმა სროლის ხმა გაიგეს და საზღვარზე შესამოწმებლად გავიდნენ, სადაც მხარში დაჭრილი ჩრდილოეთ კორეელი სამხედრო იპოვეს. ის სამხედრო ვერტმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ვერ გადაარჩინეს.

ამერიკელი მილიარდერები მდიდრებისთვის გადასახადების შემცირების წინააღმდეგ გამოდიან

400-მდე ცნობილი ამერიკელი მილიარდერი კონგრესს თხოვნით მიმართავს, მდიდრებზე დაწესებული გადასახადები არ შეამცირონ. მიმართვას ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი, დიზაინერი ეილინ ფიშერი, ინვესტორი სტივენ როკფელერი და სხვა ცნობილი სახეებიც უერთდებიან.

„ამერიკული კომპანიების მოგება რეკორდულად მაღალია. ამიტომ, მდიდრებს უფრო მეტი ფული არ სჭირდებათ", — ნათქვამია მიმართვაში.

ეგვიპტეში ძლიერმა ნისლმა მასშტაბური ავტოკატასტროფა გამოიწვია

მასშტაბური საგზაო კატასტროფა ეგვიპტეში. ძლიერი ნისლის გამო შობრა-ბენჰას ავტომაგისტრალზე ერთმანეთს 24 მანქანა დაეჯახა. ინციდენტის შედეგად 9 ადამიანი დაშავდა. ერთი მათგანის მდგომარეობა მძიმეა.

კარაკასში ლენინის მონუმენტი დადგეს

ვენესუელაში ლენინს ძეგლი დაუდგეს. ვლადიმერ ულიანოვის ბიუსტი კარაკასში ბოლივარის პროსპექტზე აღმართეს. მანამდე ვენესუელის დედაქალაქში ოქტომბრის

სოციალისტური რევოლუციის მე-100 წლისთავი აღნიშნეს. საზეიმო ღონისძიებას ქვეყნის პრეზიდენტი ნიკოლას მადუროც დაესწრო.

ავსტრიაში ახალგაზრდა ჩეჩენი საკუთარ ქორწილში დააკავეს

ავსტრიაში 22 წლის ჩეჩენი ახალგაზრდა საკუთარ ქორწილში დააკავეს. როგორც გამოცემა Heute წერს, ახლადდაქორწინებულმა ჩეჩენმა მანქანიდან გაზის პისტოლეტით რამდენჯერმე გაისროლა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა თვითმხილველებმა პოლიციას გამოუძახეს. სამართალდამცველებმა წესრიგის დამრღვევი დააკავეს და იარაღის ტარების უფლება ჩამოართვეს.

პერუში ხანძარმა ისტორიული ფრესკები გაანადგურა

ძლიერი ხანძარი პერუში. ცეცხლი 2 დღის წინ ვენტარონის არქეოლოგიურ კომპლექსს გაუჩნდა და 2 ათასი წლის სიძველის ფრესკა გაანადგურა. ვენტარონის არქეოლოგიური კომპლექსი პერუს ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარეობს, სადაც 4 ათას 500 წლის სიძველის ცივილიზაციის ძეგლებია შემორჩენილი.

ლიტველ რეჟისორს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებენ

ცნობილ ლიტველ რეჟისორს შარუნას ბარტასს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებენ. ბრალდება მას მსახიობმა იულია სტეპონაიტიტემ წაუყენა. მსახიობის თქმით, 5 წლის წინ, კასტინგის შემდეგ ბარტასმა ის ნომერში შეიყვანა, ალკოჰოლი მიაღებინა და სექსუალური კონტაქტის დამყარება სცადა, რაც არ გამოუვიდა. სტეპონაიტიტეს მტკიცებით, რეჟისორი ამის შემდეგ მას სექსუალურად მუდმივად ავიწროებდა, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია.

SPICE GIRLS სრული შემადგენლობით გაერთიანდება

პოპულარული ჯგუფი Spice Girls 2018 წელს სრული შემადგენლობით გაერთიანდება. გავრცელებული ინფორმაციით, ჯგუფის 5 წევრი ზაფხულში მოლაპარაკებებს აწარმოებდა. მათ მომავალი წლისთვის რამდენიმე პროექტი დაგეგმეს. Spiceგოგონები ახალ ალბომს გამოუშვებენ და ახალ ტელეშოუზეც დაიწყებენ მუშაობას.

ინფორმაცია

2018 წლის 5 იანვარს 13:00 საათზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: საჩხერე, თავისუფლების ქ. №4 გაიმართება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის, საჩხერე-ქვემო ხევის მონაკვეთის კმ0+000 – კმ5+537 მშენებლობა-რეკონსტრუქციის და ექსპლუატაცის პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge
- საჩხერის მუნიციპალიტეტრის გამგეობის შენობაში ბეჭდვური ვერსია.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

განცხადება

2018 წლის 05 იანვარს 14:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №127), გაიმართება შპს „ბაზალეთი 2016“-ის სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების, ნარჩენების აღდგენისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი განთავსების (ტყვიის შემცველი ჯართისა და ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების, ნარჩენების აღდგენისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი განთავსების (ტყვიის შემცველი ჯართისა და ნარჩენების გადამუშავება) საწარმო.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი, ს/კ 81.10.27.694.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №127;
- შპს „ბაზალეთი 2016“-ის ოფისი, ქ. თბილისი, სამგორის 3 ; ტელ: (+995) 599- 990- 077;
- შპს „ჯეოკონი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №62-64. ტელ: (+995) 599-540-208.

საზოგადოების წარმომადგენლთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: ქ. თბილისი, ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კრწანისის I შეს., №2;, საკონტაქტო პირი: კობა არაჩაშვილი, ტელ.: (+995)599- 990-077. ელ. ფოსტა: lteni.ltd@gmail.com

შპს „ბაზალეთი 2016“-ის ადმინისტრაცია

წევრები

„საქართველოს რესპუბლიკა“

სულხან-საბას ქ. №3.

293-13-34; 599 797679

საქმე №1/59-2017

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 8 ნოემბერი 2017 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი"**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **შპს „ენ გრუპი", შპს „ბი ჯი თრეიდინგ", შპს „იბერი", გიორგი ტორუა, ნუკრი ჭიღლაძე, ალექსანდრე ქობალია**

დავის საგანი: **ფულადი ვალდებულებების შესრულება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2017 წლის 8 სექტემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი მოპასუხე შპს „ენ გრუპი"-ს, შპს „ბი ჯი თრეიდინგ"-ის, შპს „იბერი"-ს, გიორგი ტორუას, ნუკრი ჭიღლაძისა და ალექსანდრე ქობალიას მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2017 წლის 28 იანვარს შპს „ნოვა კრედიტსა" და შპს „ენ გრუპი"-ს, შპს „ბი ჯი თრეიდინგ"-ს, შპს „იბერი"-ს, გიორგი ტორუას, ნუკრი ჭიღლაძისა და ალექსანდრე ქობალიას შორის დაიდო №011716211 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა" მსესხებელზე გასცა 55500 აშშ დოლარისა და 147000 ლარის ოდენობით სესხი, სესხის თანხა დოლარში გაცემულ იქნა წლიური 48 საპროცენტო განაკვეთით, ხოლო 60 საპროცენტო განაკვეთით ლარში. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 10 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

2017 წლის 28 იანვარს შპს „ნოვა კრედიტსა" და შპს „ენ გრუპი"-ს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებლებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვიეს.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმადაც მოპასუხე ნუკრი ჭიღლაძესა და ალექსანდრე ქობალიას აეკრძალათ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე შპს „ენ გრუპი"-ს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულმისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე შპს „ბი ჯი თრეიდინგ"-ს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულმისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე შპს „იბერი"-ს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულმისამართზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მის საკუთრებაში არსებული ქონების მიხედვით მისამართი არასრულია.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე შპს „ენ გრუპი"-ს, შპს „ბი ჯი თრეიდინგ"-ის, შპს „იბერი"-ს, გიორგი ტორუასა და ნუკრი ჭიღლაძეს მათ წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოთ შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე შპს „ენ გრუპი" ხელშეკრულებაში მითითებულმისამართზე არ იმყოფება, სხვა მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

დადგენილია, რომ მოპასუხე შპს „ბი ჯი თრეიდინგ"-ი ხელშეკრულებაში მითითებულმისამართზე არ იმყოფება, სხვა მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

დადგენილია, რომ მოპასუხე შპს „იბერი" ხელშეკრულებაში მითითებულმისამართზე არ იმყოფება, სხვა მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

დადგენილია, რომ მოპასუხე გიორგი ტორუა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო რეგისტრაციის მისამართი არასრულია, სხვა მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი კი უცნობია.

დადგენილია, რომ მოპასუხე ნუკრი ჭიღლაძე ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მის საკუთრებაში არსებული ქონების მიხედვით მისამართი არასრულია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილისშესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟიხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე შპს „ენ გრუპი"-ს (ს/კ 415592950), შპს „ბი ჯი თრეიდინგ"-ს (ს/კ 400120800), შპს „იბერი"-ს (ს/კ 415595261), გიორგი ტორუასა (პ/ნ 62003002020) და ნუკრი ჭიღლაძეს (პ/ნ 54001003807) ეცნობოთ, რომ მათ წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

2. შპს „ენ გრუპი"-ს, შპს „ბი ჯი თრეიდინგ"-ს, შპს „იბერი"-ს, გიორგი ტორუასა და ნუკრი ჭიღლაძეს განემარტოთ, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არუარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეებს, მათ მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე შპს „ენ გრუპი"-ს, შპს „ბი ჯი თრეიდინგ"-ს, შპს „იბერი"-ს, გიორგი ტორუასა და ნუკრი ჭიღლაძეს ეცნობოთ, რომ 2017 წლის 20 დეკემბერს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი"-ს სარჩელზე, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით შპს „ენ გრუპი"-ს, შპს „ბი ჯი თრეიდინგ"-ის, შპს „იბერი"-ს, გიორგი ტორუას, ნუკრი ჭიღლაძისა და ალექსანდრე ქობალიას მიმართ.

5. შპს „ენ გრუპი"-ს, შპს „ბი ჯი თრეიდინგ"-ს, შპს „იბერი"-ს, გიორგი ტორუასა და ნუკრი ჭიღლაძეს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მათ დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მათზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ კუნგფუ

პირველი „ოქრო“ მსოფლიოდან

ხუთი ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა ჩინურ ემეიშანში გამართულ კუნგფუს (ტრადიციული უშუ) მსოფლიოს მე-7 ჩემპიონატში. მათ ექვსი მედალი დაიმსახურეს. უშუ ტაოლუში (საჩვენებელ გამოსვლაში) ჩა ჩუანის სტილში თბილისელმა მარიამ თურმანიძემ (მწვრთნელი გიორგი ვერულიძე) 8,80 ქულით მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, რაც ქართული უშუს ისტორიაში პირველი შემთხვევაა. მარიამმა გუნშუში (ჯოხი) 8.75 ქულით მეორე შედეგი აჩვენა.

ორი ვერცხლის მედალი დაიმსახურა დავით გულისაშვილმა: იგი მეორე იყო ფანძი ჩუანსა (8,91 ქულა) და დაოში (გრძელი ხმალი, 8,90). ორივე სტილში პირველი ადგილი ჩინური წარმოშობის ამერიკელმა ფილიპ დანგმა დაიკავა.

თაიძი ჩუანის სტილში 9.05 ქულით ჩემპიონი გახდა რუსი ტატიანა შურმისტოვა. მეორე ადგილზე გავიდა ქუთაისელი ნინო ჩიხლაძე (მწვრთნელი ზურაბ კაპანაძე), რომელმაც 0,01 ქულით ნაკლები შეფასება მიიღო. ლაშა სუმბულაშვილი თაიძი ჩუანის სტილში 8,99 ქულთ მესამე იყო. პირველობა არავის დაუთმო ჩინელმა ზუ ქსიანჩუამ (9,35 ქულა).

გივი გაგუა

◎ ფარიკაობა

შენგელია კვარცხლბეკს გაუშინაურდა

ძართველი ახალგაზრდა მოფარიკავე ნიკა შენგელია ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ადის მოხმალავეთა ტურნირების კვარცხლბეკზე. მან არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და სოჭში, სადაც თანატოლ მოფარიკავეთა მსოფლიოს თასი გათამაშდა, მესამე ადგილი დაიკავა. ჯგუფში ჩვენებურმა 6-დან ხუთი შეხვედრა მოიგო: დაამარცხა ალი ალ ჯაბაინავი (ერაყი, 5:2), ნიკიტა პრესნოვი (რუსეთი, 5:4), ჰოსეინ მოჰამად აბედინი (ირანი, 5:4), მარტონ ტოტი (უნგრეთი, 5:4) და იუსეფ ალშამლანი (საამიროები, 5:4), ხოლო იაპონელ რიოსუკე ტაგაკისთან ერთი ჩხვლეტით დათმო (4:5) პაექრობა. პლეიოფის სტარტზე ძია ძინ რეი ზაუს (ჰონკონგი, 15:3) აჯობა. მეორე წრეში თანაგუნდელ ვაჟა რეჭიას შეხვდა და 15:10 სძლია, მერე ზედიზედ კიდევ ორი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან — ნიკიტა ივანოვი (რუსეთი, 15:9), მოჰამედ ალფადლი (საამიროები, 15:12), ნახევარფინალში კი პოლონელ კაროლ ლადემანს ვერ გასცდა — 7:15 და მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. პოლონელი ფინალში რუსმა კონსტანტინ ლოხანოვმა დაჯაბნა.

ასპარეზობის ბოლო დღეს გუნდურ პირველობაში (12 ნაკრები მონაწილეობდა) ჩვენებმა (ნიკა შენგელია, ვაჟა რეჭია, ნიკოლოზ ჭეიშვილი) სტარტზე ყაზახებს მოუგეს — 45:43, მაგრამ იაპონელებთან 36:45 დათმეს შეხვედრა. V-VIII ადგილებისთვის ბრძოლაში რუმინელებს 45:43 სძლიეს, თუმცა, ბელარუსებთან 40:45 დამარცხდნენ და მე-6 ადგილზე გავიდნენ, კვარცხლბეკზე კი ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსეთი, 2. უნგრეთი, 3. იაპონია.

ლექსო ცინცაძე

◎ ლეგიონერი

თორნიკეს ველარ აჩერებენ

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის — ლიგა ენდესასა VIII ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა „სასკი ბასკონიამ“. ბასკებმა საკუთარ მოედანზე “ჟუვენტუტ ბადალონას“ უმასპინძლეს და 87:77 დაამარცხეს.

აღნიშნულ გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა თორნიკე შენგელიამ. ვიტორიელთა ქართველმა კაპიტანმა, რომელიც ამჯერად სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, 21 წუთი ითამაშა და ამ დროში 19 ქულა, 2 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება დააგროვა.

თორნიკემ 11-დან ექვსი ორქულიანი, 2-დან ერთი სამქულიანი და 4-დან ოთხი საჯარიმო ჩააგდო. ჩვენებური თანაგუნდელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო. მაგალითად, შენგელიას შემდეგ „ბასკონიას“ ყველაზე მეტი ქულა მატ იანინგმა შესძინა (11), მთლიანად მატჩში კი ქულების მხრივ შენგელია მხოლოდ „ჟუვენტუტის“ წევრ ტომაშ გიელოს ჩამორჩა (21 ქულა). საბოლოოდ თორნიკე შენგელია შეხვედრის MVP გახდა.

„ბასკონიას“ რვა ტურის თავზე 4 გამარჯვების წილ 4 მარცხი აქვს და მერვე პოზიციაზე იმყოფება. ბასკები 19 ნოემბერს სტუმრად „ბურგოსს“ დაუპირისპირდებიან.

იმავე დღეს კატალონიურმა „ბარსელონამ“ მადრიდში გამართული ესპანური „ელ კლასიკო“ მოუგო „რეალს“ — 84:80.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

„ნეკერჩხლებს“ ფოთლები თბილისში დასცვივდათ

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ნოემბრის ტესტები „დინამო არენაზე“ კანადელებთან შეხვედრით დაიწყო. ეს გუნდები ამ შერკინებამდე ექვსჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და საერთო ანგარიში თანაბარი იყო - 3:3. რვა წლის წინათ პირველ მატჩში „ბორჯღალოსნები“ 10:42 დამარცხდნენ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, საქართველოს ნაკრებიც მყარად დადგა ფეხზე და ორიოდე დღის წინათ დედაქალაქში შემოდგომის შუაგულს ისე ძალუმად შეარხია „ნეკერჩხლები“, ლამის შიშვლები დატოვა.

მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს პაექრობა და უკვე მე-3 წუთზე სოსო მათიაშვილმა ლელოთი გახსნა ანგარიში. მანვე გარდასახვაც ზუსტად შეასრულა — 7:0. ალბათ, უპრიანი იქნება, ამ 24 წლის მორაგბის რეკორდზე გავამახვილოთ ყურადღება: 11 ნოემბერს მათიაშვილმა „ბორჯღალოსანთა“ კვართით მეოთხედ ითამაშა და საერთო ჯამში 48 ქულას მოუყარა თავი. აქედან 34 ქულა (2 ლელო, 6 გარდასახვა და 4 ჯარიმა) კანადელებთან მატჩზე მოდის, რითაც მან 2010 წლის 6 თებერვალს მერაბ კვირიკაშვილის მიერ ერთ შეხვედრაში დამყარებული რეკორდი (32 ქულა) მოხსნა...

ხუთიოდე წუთში კანადელებმა ანგარიშში სხვაობა ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ოთხ ქულამდე შეამცირეს, რასაც მათიაშვილმა სამი ჯარიმით უპასუხა. ორთაბრძოლის პირველი ნახევარი „ბორჯღალოსნებმა“ 23:8 მოიგეს.

შესვენების მერე თამაში უფრო ხალისიანი გახდა — სტადიონზე მრავლად მოსულმა ქომაგებმა ექვსი ლელო იხილეს: ოთხი მასპინძლებმა, ორი კი სტუმრებმა გაიტანეს. ქართველ მორაგბეთა უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ორთაბრძოლის მიწურულს კანადელთა მწვრთნელმა გაკვირვებულმა თქვა, ამას როგორ წარმოვიდგენდიო, თან დასძინა, „საქართველო ჩვენზე ძლიერი (ცხადია, რაგბი იგულისხმა) რომ არის, კიდევ ერთხელ გამოჩნდა“.

გამოჩნდა და მერე როგორ — ჩვენმა ბიჭებმა ეს შეხვედრა დიდი სხვაობით - 54:22 მოიგეს და საერთო ანგარიშშიც წინ გავიდნენ, თან უელსში ამაღლებული განწყობით გაემგზავრნენ - მილტონ ჰეიგის შეგირდები ნოემბრის მეორე ტესტ-მატჩს 18 ნოემბერს სტუმრად “ფრინსიფალითი სთედიუმზე“ გამართავენ.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ბორჯღალოსანთა“ მთავარმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ „ახალგაზრდებმაც კარგად ითამაშეს, სხვებმაც, საერთოდ, მთლიანად — გუნდმა. რაც მეტჯერ მიეცემათ ტესტ-მატჩებში მონაწილეობის შესაძლებლობა, ახალგაზრდა მოთამაშეთა კლასი უფრო გაუმჯობესდება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს იყო სერიის პირველი ჯახი, საწყისი შეხვედრა კი ყოველთვის რთულია, რადგან შეთამაშებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. გზად კარდიფისკენ ჩვენ ამ შეხვედრას გავაანალიზებთ და სათანადო დასკვნებსაც გამოვიტანთ. უელსთან შანსები?.. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვემზადებით მატჩისთვის, როგორ აღვიდგენთ ძალებს“.

ლაშა დიდია

◎ შეძახილი

მართლაც, კმარა!

მახსოვს, დიდი „დინამოს“ ზეობის პერიოდში ჩვენი საოთაყვანო გუნდი გაუთვალისწინებელ ქულებს რომ დაკარგავდა, სკოლაშიც და — მოგვიანებით სახელმწიფო უნივერსიტეტშიც — საპანაშვიდო განწყობა სუფევდა, თითქოს დამნაშავენი მოსწავლეები და სტუდენტები ვიყავით. აღარაფერს ვამბობ უფროს თაობაზე — მათთვის ხომ (ყოველ შემთხვევაში — მნიშვნელოვანი ნაწილისთვის) ფეხბურთი, თამამად შეიძლება ითქვას, ცხოვრების მიზანს წარმოადგენდა.

ძალიან მინდა, ასეთივე სულისკვეთებით თანამედროვე ქართული საზოგადოებაც იყოს გამსჭვალული, მაგრამ როგორ უნდა მოსთხოვო თვისტომს გულშემატკივრობა, როცა ათასგვარი ყოფითი პრობლემით თავგაბეზრებულ, ეროვნული ღირებულებების შელახვით თავმოყვარეობაშელახულ დამოუკიდებელი ქვეყნის შვილს საინფარქტო საბაბს სისტემატურად აძლევენ როგორც უფროსთა, ისე სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებები.

აგერ, ბატონო, ცინცხალი სიახლეები — ჯერ ფარერებთან „გვასახელა“ გია გეგუჩაძის გაწვრთნილმა 21-წლამდელთა გუნდმა (1:3), ხოლო გასულ უქმეებზე უკვე გიორგი ყიფიანის 19 წლის შეგირდთა ჯერი დადგა (1:1 ანდორასთან!).

რასაკვირველია, სენსაცია სპორტის მუდმივი თანამგზავრია, მაგრამ როცა საქმე სამარცხვინო ტენდენციასთან გვაქვს, მარადიულ ლაქებს კაშიას სკანდალის აგორებაც კი ვერ ჩამოგვრეცხავს. რეცეპტი ერთადერთია — პასუხი, შესაბამისი დოზით, ყველა რგოლმა უნდა აგოს!

გია პლატონიშვილი

გიორგი აბაშიშვილმა ტაბახმელას სანგრებზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები დაათვალიერა

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა ტაბახმელას მე-4 სანგარზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები დაათვალიერა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა.

პროექტი გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის ახალგაზრდულმა ლეგიონმა, მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, განახორციელა და ტაბახმელას ტერიტორიაზე, სადაც 1921 წლის თებერვალში თბილისისათვის გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობდა, არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა.

პროექტის მონაწილეების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სანგარი პირველი მსოფლიო ომის დროსაა გათხრილი, განსაკუთრებული მნიშვნელობა მან 1921 წელს, ბოლშევიკურ რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს შორის მიმდინარე ბრძოლებისას შეიძინა, რომელიც საქართველოს ისტორიაში კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლების სახელითაა ცნობილი.

116 მეტრის სიგრძის სანგარი ზიგზაგისებური ფორმისაა და იგი კლდოვან ქანშია გათხრილი.

მასში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილია 200-მდე არტეფაქტი: მასრები, სხვადასხვა ქვეყნის წარმოების გასროლილი და გაუსროლელი ვაზნები, საველე ტელეფონის ბატარეები, სამხედრო ლაბადების, იუნკერების უნიფორმებისა და სამხედრო ჩექმის ნაწილები, შაშხანის ჩამკეტი, სასიგნალო მაშხალის მასრა და სხვა.

ტაბახმელას მე-4 სანგარში აღმოჩენილი არტეფაქტები საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადაეცემა.

სანთელი

გამომცემლობა „სამშობლო“ და გაზეთ „თანადგომის“ თანამშრომლები გულითად თანაგრძნობას უცხადებენ ტექნიკურ რედაქტორს კახა მახარაშვილს დედის

მერი მახარაშვილის

გარდაცვალების გამო.

მარინა გვიჩია, ირინა ჩაჩავა, ჟანა კვაჭაძე, ნანული მეტონიძე, ლუიზა ჩიქვინიძე, ცარო ჩიქვინიძე, შალვა მგალობლიშვილი, ოთარ ქავჯაია, გივი ცანავა, ჯემალ ყოლბაია, გივი ანდრიაძე, ალიკ მთვარაძე, ომარ ხუჯაძე, გურამ ქერაშვილი, ნუგზარ კობახიძე, ვაჟა სირაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

დავით ვირსალაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

◎ ერიჰა!

„ორსული ქალების“... აკრძალვის გზით

რაც დრო გადის, გლობალიზაციის მიერ აგორებული საყოველთაო ტოლერანტობის ტალღა სულ უფრო მეტ ძალას იკრებს და გროტესკულ სახესაც იღებს. ამის მკაფიო მაგალითია, მაგალითად, ბრიტანეთის ხელისუფალთა გაეროსადმი მოწოდება, რომ ამ ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტებში სიტყვათა შეხამება „ორსული ქალი“ ნეიტრალური „ფეხმძიმე ადამიანით“ შეიცვალოს(?).

ყოველგვარი ხუმრობის გარეშე!

— გაერთიანებული სამეფო სავსებით მხარს უჭერს ორსულ ქალბატონებს სიცოცხლეზე მათი უფლების განხორციელებაში. ამასთან, ჩვენ თხოვნით მივმართეთ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს, რათა ეს უფლება ფეხმძიმე ტრანსგენდერებსაც ჰქონდეთ, — განმარტავენ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

თუმცა კი ისიცაა, რომ ამ მოწოდებამ ადგილობრივ ფემინისტ მანდილოსანთა უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია, წერს ლონდონის გაზეთი „თაიმსი“. ეს ამბავი მათ საკუთარი თავის ქალებად აღქმის შეზღუდვის მცდელობად აღიქვეს.

ამ ლოგიკას თუ მივყვებით, არავის წყენინების სრულიად სამართლიანი პოლიტიკა შეიძლება, სრულ აბსურდამდე მივიყვანოთ. მაგალითად, თუკი ვინმე არ არის ათლეტური აღნაგობის, ქერა, ცისფერთვალება აპოლონი, საჭიროა უარი ვთქვათ ცნებების „ათლეტურის“, „ცისფერთვალებასა“ და „ქერას“ მოხმარებაზე, მსუქანი ადამიანებისთვის კი ასეთივე მიუღებელი იქნება სასწორები.

ისე კი, სურვილისამებრ, ამ მწკრივის გაგრძელება ნებისმიერ მსურველს საკუთარ ნებაზე უსასრულობამდე შეუძლია. საქმე თქვენზეა, ბატონო ტოლერანტებო!

◎ კრიმინალი

ქუთაისში ერთ-ერთ სამორინეში 40 წლამდე მამაკაცი გარდაიცვალა

დაწესებულებაში განმარტავენ, რომ მამაკაცი შეუძლოდ თამაშის დროს გახდა და სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა.

სასწრაფო დახმარების სამსახურის ინფორმაციით, მედიკოსებს პაციენტი ადგილზე უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

სამორინეში გვიან ღამემდე მუშაობდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები. გამოძიება 115-ე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს.

დიდი ოდენობით ნარკოტიკი შემოჰქონდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1984 წელს დაბადებული ი.ს., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, გადაზიდვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სასაზღვრო გამტარ პუნქტ „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე დააკავეს.



უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს: 23,507 გრამი ჰეროინის შემცველი 61,14 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება, 1,8 გრამი პრეგაბალინის შემცველი 6 კაფსულა „ლირიკა“, 0,0398 გრამი მეტადონის მარილის შემცველი 1 აბი „მეტადონი“ და 0,0737 გრამი მეტამფეტამინის მარილის შემცველი 0,2652 გრამი ნარკოტიკი.

მათივე ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულს ნარკოტიკული საშუალებები საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან უკანონოდ შემოჰქონდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ი.ს. დაკავებისას ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ბრიტანეთმა ევროკავშირს 60 მილიონი უნდა გადაუხადოს

ევროპის პარლამენტის თავმჯდომარემ ანტონიო ტაიანიმ გერმანულ მედიაცენტრ „Funke“-ში განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს ევროკავშირისთვის 60 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს, წინააღმდეგ შემთვევაში, ეს თანხა სხვა დანარჩენი ევროკავშირის წევრი ქვეყნების გადასახდელი იქნება.

ტაიანიმ ასევე განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს არ უჭერს ევროკავშირიდან გასვლას.

52 წლის მაწანწალამ კემბრიჯში ჩააბარა

ლივერპულელმა ჯეკ ედვარდმა, რომელიც სკოლაში ცუდად სწავლობდა და არც უმაღლესი განათლება მიუღია, კემბრიჯის უნივერსიტეტში ჩააბარა. მან მთელი ცხოვრება ქუჩაში და მიწურებში გაატარა.

მიუხედავად მძიმე პირობებისა, ჯეკს ძალიან უყვარდა კითხვა. მისი პირველი საყვარელი წიგნი შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ გახლავთ.

ასე ხეტიალ-წანწალში ერთ დღესაც ქალაქ კემბრიჯში ჩავიდა, სადაც მის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა. კითხვის მოყვარულმა კაცმა ქალაქის ბიბლიოთეკებს მიაშურა და დღედაღამ კითხულობდა.

ერთ დღესაც გადაწყვიტა, უნივერსიტეტის კარი შეეღო, სადაც საქველმოქმედო კურსებზე ჩაეწერა, იქ სამი წელი იარა. საბოლოოდ 52 წლის მაწანწალა კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

გამჭვირვალე სასტუმრო

ისლანდიაში, რეიკიავიკიდან ერთი საათის სავალზე არაორდინარული სასტუმრო გაიხსნა.

„The Bubble“ — (ბუშტი) ასე ჰქვია სრულიად გამჭვირვალე სასტუმროს, რომელიც ველური ბუნების შუაგულშია განთავსებული.

დამსვენებელს ნომერში შესვლის შემდეგ შეუძლია ყველა მხრიდან ულამაზესი პეიზაჟებით დატკბეს.

სასტუმროს 5 ვარსკვლავი მიენიჭა. იქ ერთი ღამის გათენება ტურისტს 135 ფუნტი სტერლინგი დაუჯდება.

ისლანდიაში უამრავი ტურისტი ჩადის ჩრდილოეთის ციალის სანახავად, რომლებსაც სიცივეში, ღია ცის ქვეშ უწევთ ღამისთევა. სწორედ ამ ფაქტმა შთააგონა რობერტ რობერტსონი, მსგავსი ტიპის სასტუმრო გაეხსნა.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

ულოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის ყოფილ პარლამენტარს, ჩვენი ქვეყნის მშენებელთა ღირსეული პლეადის გამოჩენილ წარმომადგენელს, თბილისის ერთ-ერთი ცნობილი სამშენებლო ტრესტის ყოფილ თავკაცს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ესტრადის ბრწყინვალე ვარსკვლავს, ჩვენი დედაქალაქის საყვარელ კოლორიტსა და დიდ მამულიშვილს, ბატონ

მერაბ მახარაძეს.

ჩაქვში 2500 და 900 მ³ წყლის სამარაგო რეზერვუარების მშენებლობა დასრულდა

ბათუმის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, ჩაქვში 2500 და 900 მ³ წყლის სამარაგო რეზერვუარების მშენებლობა დასრულდა.

რეზერვუარების მეშვეობით, ჩაქვის ტერიტორიაზე აღმოიფხვრება წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზები და მოსახლეობა წყალს უწყვეტად 24 საათის განმავლობაში მიიღებს.

კომპანია „ბათუმის წყალი“ ჩაქვის ტერიტორიაზე მცხოვრები აბონენტებისთვის გამრიცხველიანების პროცესს აწარმოებს. ჩაქვის ტერიტორიაზე მცხოვრებ 2000 მოსახლეს უფასოდ დაუმონტაჟდებათ წყლის მრიცხველები.

აბონენტებისთვის აღრიცხვის კვანძის მოწყობა სრულიად უფასოა.

იცით თუ არა, რომ...

• **დედამიწაზე** მთლიანად 10 ათასი სახეობის ფრინველია, რომელთაგან დიდ მანძილებზე 1800 სახეობა მიგრირებს?

• **ყველაზე** მაგარი მინერალია ალმასი, რომელსაც ალმასითვე ამუშავებენ, რა დროსაც ნებისმიერი ზომის ქვის პირვანდელი წონის ნახევარი იკარგება?

• **საქართველოში** ავტომანქანის ყველაზე პოპულარული მარკებია E კლასის „მერსედესი“ (19,9 პროცენტი), „ოპელი“ და „ფორდი“, შემდეგ კი მოდის „ბმვ“, „ტოიოტა“ და „ვოლკსვაგენი“?

• **მსოფლიოში** ყველაზე დიდ სპილოსებრ კუს, ადამიანის გარდა მტერი არ ჰყავს, ხოლო მტაცებლების მიმართ შიშის სრული არქონის მიზეზი კი მხოლოდ მისი ჯავშნის „დამსახურებაა“, რომელიც ცხოველთან ერთად იზრდება.

• **მეცნიერთა** საერთაშორისო ჯგუფმა, რომელიც მთელ მსოფლიოში დაახლოებით 70 ათასი კაცის გინებას სწავლობდა, დაადგინა, თუ როგორაა დაკავშირებული ერთმანეთთან არანორმატული ლექსიკა და წყევლა ადამიანის პიროვნულ თვისებებთან და დაადგინა, რომ ბილწსიტყვა ადამიანები თავშეკავებულებზე გაცილებით პატიოსნები არიან?

• **არამიწიერი** ცივილიზაციების მოსაძებნად დედამიწაზე ყოველწლიურად 12,5 მილიონი დოლარი იხარჯება, რასაც ასტრონომები კოსმოსში კაცობრიობის შესახებ სხვადასხვა მონაცემების გადაცემას ანდომებენ?

• **პარიზის** სადარბაზო ბარათად ქცეულ ეიფელის კოშკს ორი წლის, ორი თვისა და ხუთი დღის მანძილზე აშენებდნენ, ხოლო 1889 წელს მისი მწყობრში ჩადგომის შემდეგ მას 250 მილიონი კაცი ესტუმრა?

...სტამბოლსა და ტოკიოს 14 აზიური სახელმწიფოს დამაკავშირებელი პირველი მაგისტრალური გზების ქსელი აკავშირებს?

მავნე სიცხე

დედამიწაზე კლიმატის გლობალური დათბობა ხელს უწყობს დიაბეტის ეპიდემიის ზრდას.

კლიმატური ცვლილებების ბოლო თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე დიაბეტით დაავადებულთა რიცხოვნობა დედამიწაზე თითქმის ოთხჯერ გაიზარდა.



მას შემდეგ, რაც საშუალო წლიური ტემპერატურა 1 გრადუსით მატულობს,10 ათას მოსახლეზე ამ სნეულებით 17 კაცი ავადდება. ცხელი ამინდი უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლაზე და ხელს უწყობს ცხიმის დაგროვებას.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ძველისძველი საწოლი

ერთმა სიძველის მოყვარულმა პარიზელი ანტიკვარისგან საწოლი იყიდა, რომელიც მისი მტკიცებით, ბანოვანი დიუმარისა იყო. რამდენიმე დღეში მყიდველმა ანტიკვარს პრეტენზიით მიაკითხა:

— გახსოვთ, ალბათ, საწოლი რომ მომყიდეთ, რომელიც თქვენი მტკიცებით, მადამ დიუმარისა იყო. თუმცა, თავსასთუმალში საბუთი ვიპოვე, რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ საწოლი დამზადებულია მარკიზ დე ლევრიესთვის, მერე ეკუთვნოდა გრაფ ლოტრეკს, რომლისგანაც შეუძენია ჰერცოგ ორლეანელს და ბოლოს და ბოლოს ხელში ჩავარდნია მორეიეს.

ანტიკვარმა გაკვირვებულმა მხრები აიჩეჩა:

— რატომ ფიქრობთ, რომ მაგ საწოლში ქალბატონ დიუმარის არასდროს არ სძინებია?!

მელომანები

— რა მოისმინეთ გუშინ ფილარმონიაში?

— კოვალსკები გაყრილან, სოფიომ თმა შეიღება, ხოლო პანა აგარაკიდან დაბრუნებულა...

დიაგნოზი

— დიაგნოზის დასმა ახლავე არ შემიძლია, — ეუბნება ექიმი ავადმყოფს, — მგონი, არაყი უნდა იყოს დამნაშავე.

— რას ვიზამ, — ნაღვლიანად ამბობს ავადმყოფი. — მერე მოვალ, როცა ფხიზელი იქნებით.

ხეირი

ერთხელაც ჯონმა ლექსების წერა დაიწყო და ეგრევე რედაქციებს უგზავნიდა.

— რაიმე ხეირს თუ ნახულობს? — ჰკითხა მეგობარმა ქალმა მელექსეს ცოლს.

— რა ვიცი, რა ვიცი, — მიუგო მან. — ამასწინათ ჯონმა ერთ-ერთ რედაქციას ათი ლექსი გაუგზავნა და უკან ცხრა დაუბრუნეს.

უხერხულობა

— რას უჩივით? — ჰკითხა ექიმმა პაციენტს.

— ძილში ვლაპარაკობ.

— ცოლიანი ხართ?

— არა.

— თუკი უცოლო ხართ, თქვენი ეგ ნაკლი ხელს არავის არ უშლის.

— რასაკვირველია, ეგრეა, — დაეთანხმა პაციენტი. — მაგრამ ჩვენი დირექტორი კრებაზე ყოველთვის მე მაქცევს ყურადღებას.

ფულს სად ინახავ?

ახალგაზრდა ქალის ოთახში მძარცველი შევარდა, ქალს დანით დაემუქრა და წაუსისინა:

— ახლავე მითხარი ფულს სად ინახავ, თორემ დანას გაგიყრი.

— თუ გითხარი, აღარ მომკლავ? — ჰკითხა აკანკალებულმა ქალმა.

— არა!..

— აბა, დაიფიცე!

— გეფიცები!

— მთელი ფული შემნახველ სალაროში მაქვს...

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6499; ევრო - 3.0882;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4857;
100 რუბლი - 4.4699; თურქული ლირა - 0.6849;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5594;
1000 სომხური დრამი - 5.4357.

ამინდი 14 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +17
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +18
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +20
თბილისი: ღამე +8, დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge